5-2
1870 N 6
1870 N 6
11634

ცისკარი.

1870

ივნისი

წელიწადი მეთოთხმეტე.

წოდება თხზულებათა:

I. ვეფხვის ტყაოსანი. . . . . ი. კე-
რესელიძისა.
II. ხვაშიადი. (ლექსი) იოსებ ქარუხა-შვილისა.
III. ბეატრიჩე ჩენჩი (მოთხრობა.) გ. ასათიანისა
IV. მოწვევა. . . . . . .

ტფილისს.
მარტიროზიანის ტიპოგრაფიაში

ვეფხვის-ტყაოსანი

(რუსთველის პოემა.)

რამდენი რამ არის დაწერილი ჩუჱნს ქუჱყანაზედ, უცხო ენებზედ, რომ ბევრმა ჩუჱნგანმა არც-კი იცის; კაცობრიობის წარმატება დღე და დღე წინ მიდის; ცნობათ მოყვარეობა უფრო და უფრო ხშირდება; უფრო და უფრო ერთის ნათესაობის ხალხი უახლოვდება, მეორეს ნათესაობისას, ზოგი, მადლობა ღმერთს, ახლანდელის დროს მიხედვით, რადგანაც რკინის გზები გვეწევიან, და ზოგი განათლების მიზეზით,—განათლებას ბევრი რამ შეუძლიან,—ის ხალხი, რომელსაცა არა ისტორია არ იცნობდა, ახლა ყოველთაგან საცნობია; და არა გვგონია იყოს სადმე კუთხე, ხალხით სავსე და არ ვიცოდეთ იმათი ვინაობა, იმათი შთამომავლობა, იმათი ხასიათები, ჩვეულებაები, მიწა წყლის ღირსება და იმათი ცხოვრება. ასე გაშინჯეთ, ის ხალხიც-კი შეიქნა ჩუჱნთჳს საცნობი, რომელნიცა სცხოვრებენ იმ ოკიანების შუა, სადაცა მრთელი რვა და ცხრა თვე ღამე არის ერთმანეთზედ,—

დრო იყო, ჩჳჱნს საქართჳჱლოს იცნობდნენ სპარსელები, ლეკები, ოსმალები და ამათებრ გვარი ... ზობლები, რომელთაგანაც აოხრებული იყო, მაგრამ ახლა მრთელი ევროპა იცნობს საქართჳჱლოსა, ვისაც უნახავს აღტაცებაში მოსულა და ვისაც არა, ისიც იკვირვის, რა კითხულობს აღწერილებას, ჩჳჱნის დიდებულის ბუნების მშჳჱნიერებასა.—ჩჳჱნი პოლიტიკური მდგომარეობის გარდა მველ დროში, ჩჳჱნი ლიტერატურის ღირსებაც-კი იციან.—ჩჳჱნ ყველამ ვიცით, თუ რა შრომა გასწივა, პატივსაცემმა აკადემიკმა ბროსემ და რამდენი წიგნები სთარგმნა ქართულითგან ფრანცუზულს ენაზედ; სხჳათა შორის, ამ პატივცემულმა საქართჳჱლოს მეისტორიემ, უთარგმნა ფრანცუზებს, ჩჳჱნი ჩინებული, და ჩჳჱნთჳს მეიროვასი პოემა, ვეფხვის ტყაოსანი, რომელსაცა გაკვირვებით შეხედეს ფრანცუზებმა; რუსულს ენაზედაცა სთარგმნეს ნაწყვეტები, შიგა და შიგ, რომლის ღირსებაზედ აქ არა ვხედავთ საჭიროთ მოვილაპარაკოთ და ვინ იფიქრებდა, თუ ეს პოემა იქნებოდა ნათარგმნი პოლშურს ენაზედაც, არა ნაწყვეტებად, როგორც რუსულს ენაზედ, არამედ, თავითგან მოკიდებული, ბოლომდის. ამ სტატიის დამწერმა თითონაც არ იცოდა ამისი თარგმნა პოლშურს ენაზედ, და მგონია არც სხჳა ქართჳჱლებმა იციან, მაგრამ, ეს შევიტყეთ, მოულოდნელის შემთხვევით და ამ შემთხვევასა ვხადი, ერთს იმ ბედნიერებათ, რომელთა გვარს, ჩემს სიცოცხლეში, ბევრს არ შევხვედრივარ.

ქალაქს ტფილისში, ნემენცების კოლონიაში დგას ერთი მსწავლული და გაბედვით შეგვიძლიან ვსთქუათ, კარგად განათლებული დოკტორი იოსებ ტალკო, ეს იმ ჰაქიმებთაგანი არ არის, რომელნიც ჩემულობენ ყოველ გვარს სნეულებას, რა არის, ძროხას მეტი რმე გამოსწველონ, რომლით «რაც მოხდეს მოსდეს, ჩემი არა ბრალიაო»—ეს ტალკო, არის გაზრდილი თუმცა ჩუენის ქუეყნის მაღალ სასწავლებელში, მაგრამ მრთელი ევროპა მოვლილი აქუს, სწავლის შესამსებლად და ერთს სავანს დასდგომია.—თვალის სიბრმავის, ერთის სიტყჳთ, თვალის ავათმყოფობის წამლობას; და ვიცით ნამდვილად, კაცი, რომელიცა იყო ჩვიდმეტი წელიწადი უსინათლო და ახლა ამის წამლობით ორივე თვალებით ხედავს. რამდენი რჩებიან მსწავლულის დოკტორის მეცადინეობით ჩუენ ამაზედ აქ აღარას ვიტყვით, მხოლოდ ამის მეტს, რომ ერთხელ საუბარის დროს, მიანბო ამ პატივცემულმა მსწავლულმა, ვეფხვის ტყაოსანი ქართული, სრულებით პოლშურს ენაზედ არის გადათარგმნილიო. ჩემის თხოვნით მიშოვნა წიგნი თჳთან პოლშური, რომლის წინა-სიტყვაობას აქა ვბეჭდავთ, და მითარგმნა რუსულად, საიდამაც გადმოვთარგმნეთ ქართულად. სამწუხაროდ ეს-კი უნდა ვსთქუათ, რომ ამ წიგნში, არა სჩანს, თუ რომელს წელიწადში არის ნათარგმნი და როგორც ტალკო გვარწმუნებს, ვითომც ეს ეთარგმნოს ამ ორმოცის, თუ ორმოც და ხუთის წლის წინეთ, ერთს ინჟენერს პოლიაკსა, რომელიცა მსახურე-

ბძა თურმე კავკაზიაში და რომლის გვარი ეოფილ კაზიმირ ლოპჩინსკი.

აი ეს წინა-სიტყვაობა:

„სამხრეთის მხრივ კავკაზიისა, სომხეთისკენ შირვანის და შავის ზღვის შუა, არის ვრცელი ქუეყანა, მთიანი, ჩინებული ტფილი, და მშუენიერის მცენარეებით შემკობილი; მხარე ატმებისა, ნუშისა, ეურძნისა და ლეღვისა; ქუეყანა, გულ-გაშლილის ხალხისა, სტუმართ მოუვარეობისა, მამაცობისა, რომელიც გადმოსულა შჳლითი შჳლად, ამ ხალხს მველნი მწერალნი უწოდებენ ივერიას, ხოლო ჩუენ საქართუელოს.—

ევროპიელთა ასე იციან ეს ქუეყანა. რომ ვითომც რა მოჭპარა ცეცხლებრივ მგზნებარე სინათლე, პრომეტვი შებორკილებულ არის კლდეში; რომ აქ იყო კოლხიდა, მაშასადამე ოქროს მატყლოვანი ცხვარი, მიფოლოგიის მედეი, და ბოლოს ესეც რომ, ქართველი ქალები, როგორც მშუენიერები მსახურებდნენ ოსმალეთის სულთანის ჭარამხანის დასაშვენებლად, მაგრამ, ეს არ არის მისატევებელი, ევროპიელებისათჳს რომ ასე ცოტა იციან იმ მველს მამაცს ხალხზედ, რომლითაცა სისხლით დაწერილი არის იმათი მამაცური კაცობრიობის წინ შეუპოვრად დგომა ისტორია საქართუელოსი, ქრისტიანობის სარწმუნოების მიღების დაწყებითგან,

ქრისტეს დაბადების, პირველის საუკუნითგან ხალხის აღწერილობით, რომელნიცა მრავალჯერ დასწვეს, დაატყუევეს, გაყარეს და ხოცეს, არა ასობით, ათასობით, არამედ მილლიონებით,—არ გაოსმალდა, არ გათათრდა, არ გაიზილბაშდა, არამედ დარჩა ქრისტიანად, არ დაკარგა თავისი სახალხო ჩვეულება და თავისი სამღრთო ენა. თუ რომ მოუვიდოდა წუთი, დასვენებისა მეზობლის მტრის დაცემისაგან, ქართველი აშენებდა დიდებულს ეკკლესიებს, აღამაღლებდა დასაცვავ ციხეებს, და ყოვლის ღონის-მიებით ცდილობდა წინ წასვლას, ესე იგი განათლებას, რამდენსაც ნებას მისცემდა, განშორებულ განათლებულ ხალხისაგან შორს ყოფნა. ჩუენ ვცხოვრებთ იმ დროში, როდესაც საკვირველად შემოვლებული გვაქუს გზები, და გვქონან ორთქლის მაშინები, უეჭველად უნდა გავვეცნო ეს ხალხი, რომელიცა თუმცა არ არიან ბევრნი, მაგრამ ხვალ შეუძლიანთ დადგნენ ევროპიელთ განათლებულთ რაზმში, და თუ გავიცნობთ ახლოს, შევიყვარებთ ამ ხალხსა; ამ ხალხსა, რომელიცა ხმარობს ამ ბრძნულს ანდაზებსა: „სიმართლისათჳს, მოჭრილი ჴელი სრულებით არა სტკივა კაცსაო; უგუნური ახდენს საქმეს და აბრალებს უბედურებასაო; იქ სადაც შევა ძალი, სიმართლე ბანით-გაიპარებაო; რასაც კაცი თავის თავს უზამს, იმას მტერი არ უზამსო; უნამუსოთ სიცოცხლეს, სიკუდილი სჯობიაო.“ (*)

(*) ამავე ავტორს გამოუცია ჩუენი ანდაზები ბოლშურს ენაზედ და სხუა ბევრი სხუა და სხუა საგნებზედ უწერია ამავე ენაზედ. — იმა! ი მოგზაურობაც არის არარატის მთისაკენ. —

ქართველებმა ბევრი იციან პოლშაზედ. თვრამეტის საუკუნის დაწყებაში მეფე ვახტანგმა თავის ხრონიკონში გამოკრიბა ზოგი ერთი ცნობაები ოთხის პოლშურის ისტორიითგან; მიცკევიჩის თხზულებითგან აგრეთვე გადათარგმნილი არის ზოგი ერთი ლექსები ქართულს ენაზედ,—ვეფხვის ტყაოსანი, პირველი ქმნილები არის ქართჳელების პოეზიაში, რომელსაცა არა სცნობს ჯერ აქამდინ ქჳეყანა,—აქამდისინ, როგორც ვიცით, ზოგი ერთი ნაწყვეტები გადმოთარგმნილი არის ფრანცუზულს ენაზედ ღ რუსულს ენაზედ, მე რომ ვთარგმნი ამ პოემას, ეს არის პირველი ბიჯი, რომელიცა გვმსახურებს დასამეგობრად პრომეტეის სამშობლოს ქჳეყნისა. ეს აზრი, რომ თჳთ უპირველესი პოეზია შეიქნა გირაოდ ჩჳენის მეგობრობისა, იყო კელთმძღვანველი განათლებულის ქართჳელისა (*) (იმის გვარს არ ვახსენებ, ამისათჳს რომ თჳთან იმან არ ინება). რომელიცა მრთელი ორი წელიწადი მითარგმნიდა თავის საყვარლის ქართველთ პოეტის ქმნილებასა. ჩჳენი მუშაობა ვეფხვის ტყაოსანზედ, რომელსაცა ვახმარებდით თითქმის შუაღამემდინ. დარჩა პირველ სახსოვრად ტფილისს.—

მსწავლულმა ფრანცუზმა ბროსემ მოუღალავმა შრომის მოყვარემ ღ დიდმან მეცადინემ საქართველოსათჳს, შეკრიბა მრავალი ქართული ხრონიკა, გადათარგმნა ფრანცუზულს ენაზედ ღ რა კრიტიკულად განჩხრიკა, და-

(*) ამას ანბობს გიორგი ერისთავზედ.

და შესანიშნავს თავის თხზულებაში, რომელსაცა დი-ის ყურადღებით კითხულობენ მსწავლულები. ამ ქრო-ნიკონის მიხედვით შვიდ საუკუნეზედ წინ. ქრისტეს და-ბადებამდის, მაშასადამე რომულის დროებში, ვავილო-ნის, ბეზესელინისა, მედეიში არბაცეზის დროს, ქართ-ლოსმან, ერთმან თარგამოსის შთამომავლობათაგანმა, რომელმაცა აღაშენა ქართლოსის ციხე, ტფილისის ახ-ლოს, მისცა დასაბამი ივერიას ანუ საქართუელოსა. ეს ციხე შეიცვალა ქალაქად, რომელსაცა ეწოდება ქა-რთლი. ამ წოდების მიცემითგან გავრცელდა ეს მხარე, და მრთელი იმისი საბრძანებელი; ამ დროთგან ამ მხა-რეს საქართუელო, ხოლო ხალხსა, ქართუელი. ევრო-პიული საკელის წოდება ქართველი, ზოგი ერთის აზ-რით, ვითომც წარმოდგება ბერძენთაგან „გეორგოს“ რო-მელიცა ნიშნავს მიწის-ხვნას, რადგანაც დამოკიდებულება ჰქონიათ ბერძნებთან, ხოლო ზოგი ერთის აზრით ამ-ისათჳს, რომ ქართლელები, ქრისტიანობის მიღების შემდგომს, დიდი ჰატივის მცემელნი იყვნენ წმინდის გი-ორგისა, სპარსელები უწოდებენ ქართუელებს გურჯებს, საქართუელოს გურჯისტანსა, ხოლო რუსები აქედან, ქართველებს, საქართუელოს.—რაც უნდა იყოს, თჳთან ქართველები, თავიანთ თავს უწოდებენ არც ხვნა თესვის მიხედვით, არამედ თავიანთ მამამთავარის მიხედვით ქა-რთლოსისა. ამბობენ ახლა ვითომც ქართლოსი დამა-რხული იყოს ქართლოსის ციხეში.

ქართლოსის სიკუდილის შემდგომს, იმისი ქუეყანა

განყოფილიყო იმის ხუთ შვლებთა შორის, რომელთაცა, უფროსი შმა მცხეთოსი იცნეს, ანუ მიიღეს მამასახლისად,—ესე იგი მამა-სახლისმა. მცხეთოსმა დააფუძნა ქალაქი მცხეთა, მდინარე მტკვრის ნაპირზედ, რომელიცა იყო დიდ ხანს სატახტო ქალაქი საქართუჵლოში; ახლა მზგავსად ჩუჵნის ქალაქის ჩენსტოხოვთასა, მიდიან სალოცავად მცხეთაში ათასობით პილიგრიმები (მლოცველები).

შვილმან მცხეთოსისამ უფროსმა, აღაშენა კლდეზედ ციხე თავის სასახლეზედ, რომელსაცა უწოდა უფლისისციხე.

უფლისის შემდეგ თუმცა შესუსტდა უმაღლესი მართველობა, თუმცა ეს ქუჵყანა განყოფილიყო პატარა ნაწილად, და თუმცა ივერია, ბევრის ომის შემდგომს, იყო სპარსეთის უფლებასა ქვეშე, მაგრამ მამასახლისის წოდება, იყო ალექსანდრე დიდის მეფობამდინ. როდესაც დაეცა სპარსეთი, მაკედონიის მფლობელობაში შევიდა ივერიაცა, მოადგილეთ ალექსანდრესი მცხეთაში იყო იაზონ, რომელმაცა შემოიტანა საბერძნეთის—მართებლობა.

თავ გმოძღებმა და მეცადინემ ფარნავაზმა, სამარის შვლმა, უკანასკნელის მამასახლისის შმამ,—ალექსანდრე მაკედონელის სიკუდილის შემდგომს, შეკრიბა დიდი ჯარი, მოკლა იაზონი და დაიჭირა მრთელი სამეფო დერბენდამდინ, ამის მხნეობას ეწეოდა, სიმამრი იმისი კუჭი, ეგროსის, ანუ მეგრელის მფლობელი, ფარნავაზმა, რა

ვნება გავრცელდა, (*) თამარის მეფობაში განითქვნენ პროზაიკები: მოსე ხონელი, სარგისთმოგველი,—პოეტები: შავთელი, ჩახრუხა და უმეტესად შოთა რუსთაველი, ავტორი ვეფხვის ტყაოსანისა, რომელთანაც უნდა გავაცნოთ პოლიაკი მკითხველები. თჳთ უპირველესი ქმნილება ქართულს ლიტერატურაში, გამოჩნდა ამის დროს; ამისათჳს კიდევაც განვიმეორებ, რომ თამარ-მეფობის დრო ყოფილა საქართჳჱლოში ოქროს დრო; დღევანდელ დღემდინ ყველა გლეხი, თუმცა გადის მეშჳდე საუკუნე, დიდის პატივისცემით ახსენებს იმის სახელსა, მოთხრობა არის იმაზედ, როგორც ფათალო ედება რასაც მაავლებს ჴელს, ისე ურიცხვნი ეკლესიები და ციხეები მოდებულ არიან ყველგან, თამარის სიკჳდილის შემდგომს, 1212 წელს იმისი შჳლი, და შჳლი დავით სოსლანისა, გიორგი ლაშას, განსხვავება არა ჰქონდა დედაზედ, რომ შექმნილი მეფედ საქართჳჱლოზედ. ავიდა იმ დროს ტახტზედ, როდესაც ევროპაში იბრმოდნენ ჯვართ მატარებელნი (крестоносцы) დაუწყო მიწერ-მოწერა რომის პაპას, იმას უნდოდა თჳთან, როგორც თავის ჯარი წინამძღვარი შეერთებულიყო ჯვარის მატარებლებთან, მაგრამ მონღოლები, რა დაეცნენ ამ დროს საქართჳჱლოს, ვერ დაუტევა თავისი ქჳჱყანა.

(*) აქ ავტორს გადაუთარგმნია პოლშურს ენაზედ ის სიმღერა, რომელსაცა მღერიან სოფლებში ქართჳჱლები, „ამ საქმისა მომქმედმა სამი ადლი ტილო წაგრილეო." — ამ გვარი ლექსი, აქჳსთ პოლიაკებს, ეს ლექსი მიეწერება პოლშის მეფეს ბოლისლავს.—

1226 წელსა ჯალელ-ედინა, დაეცა საშინლად საქართჳელოს და დიდ ძალი სისხლი დაიღვარა ქართჳელებისა. ყოველს წამს, შავი ნისლი ეხვეოდა საქართჳელოს, თითქოს ის ინთქვოდა უფსკრულის სიღრმეში, რომლის ძირზედ შეუბრალებელი მტერი მამაცის საქართჳელოსი, და რომელიც ქვითკირის გალავანი, შეერთებული, ბაგრატ დიდის დროშებისა ქჳეშე, დაეცა გამტვერებული. ექვსჯერ დაეცა საქართჳელოს, მდიდართა ქალაქებსა ამტვერებდა მიწასთან, მილიონ ქრისტიანებსა ხოცავდა, ან თავ შაფარებულთ ეკკლესიებში სწვავდა; დარჩომილნი ცოცხლად მირბოდნენ მთებში, ან ბაგრატ მეფის და დედოფლით მიეცემოდნენ შეუვალს ტყეს,— მაგრამ საქართჳელო მაინც არ დაინთქო, 1414 წელსა, ესე იგი ათი საუკუნის შემდგომს დავით აღმაშენებელისა, გამოჩნდება მეორე აღმაშენებელი მეფე ალექსანდრე, ეკკლესიები დანგრეულნი ახლდებიან, ერთობის კავშირს ამაგრებს და იწყობს ახალად ურწმუნოებთან ბრძოლასა. 1289 წლის მგზავსად, დიმიტრი მეფისა, რომელიცა მოკვდა მაჭმადიანთან ბრძოლაში, ისე გიორგი, შჳლი მეფის ბაგრატისა და კონსტანტინე, თავიანთ სისხლს ანთხევდნენ ოსმალოების ბრძოლაში. არც პირველი და არც უკანასკნელი, ვეჭვნეულებ, თუ სადმე უმეფნია იმისთანა მეფეს, სადაცა დანთხეულიყოს ამდენი სისხლი, რამდენიც დანთხეულა საქართჳელოში, და იმდენი ტაჯნვა მიეღოს ვისმეს, რა ტანჯვაც მიუღიათ ბაგრატიდიდის ნათესაობასა. სჩანს მძიმე ყოფილა იმათი გვი-

რგვინი, რომ ასე ხშირად, მეფენი შემდგომს ტანჯვისა, შესულან ბერებად, ანუ როგორც ჩვენი ლუკრეტიკი მეფე, რომში მოგზაურობდა, ისე ესენი მიდიოდნენ იერუსალიმში, სადაცა ემებდნენ მოსვენებასა.

კონსტანტინეპოლი რომ აიღეს ოსმალებმა, უფრო მეტად შევიწროვდა საქართველო; მოადგება ამ დროს საქართველოს ახალი მტერი, 1496 წ. შემდგომს დაფუძნებისა ისმაილ შახისაგან, სოფიოს შთამამავლობისა, ამ დროთგან ოსმალები, სპარსელები და კავკასიის მთის ხალხნი, ხშირად ეცემიან და ცრცვიან საქართველოსა, ამ დღითგან წუნარ-წუნარა სუსტდება საქართველო ამისათჳს, რომ მაშინათვე ალექსანდრე მეფის სიკვდილის შემდგომს, ჩნდება იქ უსაშინელესი მტერი და ეს მტერი არის:—საქართველოს ნაჭრებად, ესე იგი წვრილ სამეფოებად დაყოფა. აღრინდელი საქართველო თუმცა ერთად შეერთებული არ იყო, და ამასთანავე ფეოდალურს მდგომარეობაში იყო, მაგრამ ყოველთჳს ჰყვანდა ერთი მეფე; ახლა განიყო სამ სამეფოდ, ქართლი, კახეთი და იმერეთი, და ხუთ სამთავროდ. დღევანდლამდის ქართველებში ერთი ბრძნული ანდაზა არის, ამ საგანზედ, «ციხე შიგნითგან ტყდებაო.» (*) განყოფა საქართველოსი იყო, როგორც დარღვეული კედელი, რომელიცა ერთხელ მკვიდრად იდგა და ვერავინ რას დააკლებდა. წვრილ მეფეების გულში, რომელნიცა ყველა-

(*) ეს წვრილი მეფეები ყველანი თავთავისად თავს იდიდებდნენ. ყველა თავის თავს უწოდებდა,—მეფეთა მეფეს.—

ნი თავს იდიდებდნენ, შევიდა ამპარტავანების, სიმურის და თავის ომყვარეობის თჳსება. ამის შემდგომს საქართჳელოში შევიდა თჳთ უსაშინელესი მტერი, ერთმანერთში ბრძოლა და უთანხმოება. შთამომავლობანი დიდის გმირი მეფეებისა და წინასწარ მეტყველის მეფისა, მიდიოდნენ სპარსეთის შახებთან და აბეზღებდნენ ერთი მეორესა.

თუმცა განწვალილდა საქართჳელო, მაგრამ მაინც აქამდინ დაიცვეს სარწმუნოება, ჩვეულებაები და ენა.—

მეთერთმეტე საუკუნე არის ოქროს საუკუნე ქართველებისათჳს, რომელიცა რა გავჩხრიკეთ საკუთრად, მველს საუკუნეებში, როდესაც ღვრილა მრავალი ცრემლი და მრავალი სისხლი; წვისა, დაგვის ხმა ისმის და კვნესიან მილიონნი ქრისტიანები; შემდგომს რა თამარ მეფის დროს მოეფინა მზის სხივი, ბოლოს მოიცავს შავი ნისლი და სხივი იფარება შავით; მეთორმეტე საუკუნე, ოქროს დრო, რომელს დროშიაც გამოვიდა ხალხი მძიმის ტვირთითგან, თითქოს გადაიქცაო დიდებულ სიზმრად, პატიმარსა საპყრობილეში, რომელიცა რა გაიღვიძებს, ისევე მიეცემა იმ თავის შესაწუხარს მდგომარეობასა, თითქოს ვალტაზარ მიჰყავთ სამწუხარო მეჯლიშშიაო.

ჰაი როგორის თვალით უნდა უყურებდეთ საქართჳელოს ოქროს დროებას, რომ თანა უგრძნოთ რუსთაველს, ეს რუისთაველი არის ღერძი რომლის გარშემო ტრიალებს იმისი ჩინებული

პოემა. მაგრამ ზოგი ერთს ალაგს, საშუალ ნაზის, გარმონიურის ლექსებისა უცებ მოულოდნელად ისვრის გულის ჩასათხრობს და ლაღონიკურს აზრებს, როგორც წინასწარ მეტყველებისას. ეს სწრაფად გაქრობილი მეტეორი, არის წ. მგრძნობელი მომავალისა, მელოდიური სატრფიალო ოთხ სტრიქონიანი ლექსი, არის დრო თამარ მეფისა, ჩუენ ეს ფიქრი მოგვივიდა როდესაცა ვკითხულობდით ამ პოემასა; ჩუენ ვრწმუნდებით რომ ამ ჭეშმარიტს პოემას, ეთანახმავება საქართუელოს სვეასე მიმხვდარა წინათვე რუსთაველი.

შოთა რუსთაველის ცხოვრება, რომელიცა დაბადებულა ახალციხის მახლობლად, რუისთავის სოფელში, ჯერ აქამდინ არ არის სწორეთ გამოკვლეული. ვართან, სომხეთის მეისტორიე, ანბობს, რომ იმ დროს, ყოველ წლივ იგზავნებოდნენ ათინაში ორმოცნი ყმაწვილნი კაცები სასწავლებლად, უნდა ვიფიქროთ რომ რუსთაველი იყო ამათ შორის. რა დაბრუნდა საქართუელოში, ვეფხვის ტყაოსნის დაწერისათჳს, მისცა მოლარეთ ხუცესობა, ამის შემდგომს შედგა ბერად, წავიდა იერუსალიმში და დაიმარხა ქართუელთ ჯვარის ეკკლესიაში. მიტროპოლიტმა ტიმოთემ, რომელიცა მოგზაურობდა მეთვრამეტე საუკუნეში, და რომელმაცა აღწერა თავისი მოგზაურობა, რა დაბრუნდა ტფილისში ანბობს, რომ ამ მონასტერში უნახავს რუსთაველის პორტრეთი. აი, რაც იციან ქართუელებმა, თავიანთ გამოჩენილს პოეტზედ.

სპარსეთის ლიტერატურა 12 საუკუნეში იდგა მაღლა,

საქართჳჱლო, ასე სპარსეთის ახლო მყოფი, სადაცა რუსთაველი სცხოვრებდა, არ იქნებოდა არ მიებაძა ფერდურს სპარსეთის პოეტისათჳს, აი ვეფხვის ტყაოსანი რათ ემგზავსება სპარსულს, მეორეს მხრით სჩანს აქ, რომ გავლენა ჰქონია იმაზედ საბერძნეთის ლიტერატურას,—მაგრამ ნამდვილი გამოხატულება-კი აქჳს ქართული. თუმცა მოქმედება პოემისა წარმოდგება სპარსეთში, გაჯეთში, მშჳჱნიერს ქალაქებში და უცნაურს ქჳჱყნებში, მაგრამ ამათში ვხედავთ, არაბეთსა, ჩინეთსა, ხივიასა, ბუხარიასა — თორმეტს საუკუნეში გეოგრაფიული ცნობა ისე ცოტათი .იყო გავრცელებული, შორს ქჳჱყნებითგან დამოკიდებულება ისეთი იშჳათია, რომ სახელები არაბეთისა, ჩინეთისა, ხივისა და ბხარიისა, გადასხვაფერებული ჰქონდა, ნამდვილად-კი იყვნენ ეს ალაგები, ეს უნდა ვიცოდეთ, თორემ პოემაში როგორდაც უცნაურათ გვეჩვენებიან არაბები, ჩინელები და სხჳანი, რომელთაცა არაფერში მზგავსება არა აქჳსთ, იქაურ მცხოვრებ ხალხთან, მხოლოდ ეს არის, რომ ქრისტიანები არ არიან, ყველა არაბეთს და ინგილოს ვეფხვის ტყაოსანისას, კისრითგან ცხადათ ხედავს მკითხველი ქართჳჱლს და ეს საქართჳჱლოს სტიხია, გამოთქმული აღმოსავლეთის ჩჳჱულებით, ისე საუნოსლად მიაჩნია მკითხველს, როგორც ბაღის მშჳჱნიერი ვარდის სუნი, ეს ცხადი სურათი ადგილობრივი არის თჳთ მაღალი განსხვავება და მიზეზი, რომ ასე მაღლა სდგას პოემა რუსთაველისა. ამ პოემითგან წარმოსდგა ერთი

ფენომენი, რომლის მსგავსი არსად გვინახავს; რამდენიმე ტაეპი, რომელიცა არის სხჳა და სხჳა ალაგებში, ქართჳჱლებს საანდაზოთა აქჳსთ მიღებული, და იმერებენ სოფლებში მცხოვრებნი, რომელთაცა არ იციან ვეფხვის ტყაოსანი რა არის, ეს მაღალი ღირსება არის მწერლისა სიმართლით შემინებული რუსთაველისაგან, ამისათჳს რომ იმისი მიმბაძავნი ისე უხეირონი არიან, რომ ამითი სჯიან იმ გამოჩენილს პოეტსა და თავიც მოაბეზრეს, ამასაც არ აკმარებენ, რომ თავის სიცოცხლის დროს დასცინოდნენ, სიკჳდილის შემდგომაც ჰბედავდნენ, და იმის თხზულებას დასცინოდნენ, ასე რომ ბედამდნენ, ასწორებდნენ და თითქმის უმატებდნენ კიდეცა.— ერთმა ციციშვილმა, 1500 სტრიქონი თავისი დაუმატა, ყველა თავისებურადა ჰგმირავდა ამ დიდებულს ქმნილებასა, ამ სახით, წარმოდგა, მრავალი ჴელნაწერები, რომელნიცა ერთმანერთს არა ჰგვანან და რომელმაცა შეკრიბა ვახტანგ მეფემ,—ამან რა შეკრიბა, ერთმანერთს შეუფარდა და პირველად თავისაგან დაფუძნებულს სტანბაში დაბეჭდა, (*) ახლანდელი ჩჳჱნი ვეფხვის ტყაოსანი ფრანცუზულს და რუსულს ენაზედ არის ნათარგმნი ვახტანგ მეფისაგან გამოცემულის წიგნითგან, თუ-

(*) ვახტანგ მეექჳსემ, იშრომა ბევრი ქართულის ლიტერატურისათჳს, იმან შეკრიბა ძველი ხრონიკო, კანონები, შემდგომს შეადგინა საქართჳჱლოს ისტორია, ისე დაწვრილებით, რომ ვერც ერთს ქჳჱყანაში ვერ შეადგენდა ვერავინ, ამისი შვილი ვახუშტიც ბევრსა ცდილობდა ქართულის სიტყვიერებისათჳს და ბევრი რამ დაწერა.

მცა ზოგნი უწოდებენ ვახტანგს პიზისტრატად, მაგრამ ჩუჱნა გვგონია, რომ შრომა ვეფხვის ტყაოსანის არ არის კიდევ დასრულებული, ისე წაუხდენიათ სხუა და სხუა მჩხაბავებსა,—ამაში ისე ნათლად შეხვდება მკითხველს, სხვისგან წახდენილი ტაეპები, რომ არაფრისთანა მუზიკა არ გამოდის,—და შეატყობს რომ ვიღაცა უნიჭოს აურევ-დაურევია. სრულად სხუა ენაზედ გადათარგმნილი ეს პოემა, ჯერ კიდევ არ გამოცემულა, მინამ გამოიცემოდეს, უნდა გამომცემელმა კარგად შეტყოს ვეფხვის ტყაოსნის ღირსება, იცოდეს ღრმად საქართუჱლოს ისტორია და ჰქონდეს არხეოლოგიური სწავლა, მაშინ ეს შრომა იქნება შესანიშნავი შრომა, რომ ეს საჭირო არის, და ისე სუბუქათ გამოცემა არაფერს ნაყოფს მოგვიტანს, ამას გვიმტკიცებს თითონ ბროსე, თავისის გამოცემით, რომელმაცა აიღო სთარგმნა, და დაბეჭდა, მაგრამ მაინც შრომა აღმოუჩინა ქართუჱლებს და არა თუ არ გაისარჯა და არ გაწმინდა ვეფხვის ტყაოსანი, სხუა მწერლების ლექსებითგან, რომელიცა ჩამატებული არის,—იმან შეავსო ახალის, დიდის მეცადინეობით მოპოებულის ახალის ლექსებით, რომელიცა უშოვნია სხუა და სხუა წიგნებითგან, გაუტია სხვის გზასა, და თჳთონაც ჩაუმატა თავისი შეთხუზული ლექსი, თუმცა თანა უგრძნო იმ ლექსით ქართუჱლებს და გამოუცხადა სიყვარული, ასე რომ ბროსემ ეს პოემა გაადიდა 60 ტაეპით, და წინასიტყვაობაში მოითხოვს მოტევებასა ამ საგანზედ; ზემო დამატებული ლექსები

ამისათჳს ჩაუმატეთო, რომ მრავალთ ქართულის ენის მცოდნეთა მოიწონესო და ვპოვე მეც ძველს წიგნებშიაო. ამას გარდა ვინც ჴელი მომიწერა ვეფხვის ტყაოსანზედ, იმათა მთხოვეს, ესენიც დამებეჭდაო.

ერთს კიდევ გამოვწერ იმის წინასიტყვაობითგან, რომლით აღმოიჩენს დიდს ჴელოვნებასა, რომლით დამტკიცდება, იმისი არტისტობა. რა კრიტიკულად განიხილავს რუსთაველს, ბროსე ამბობს; «ამ გვარი განათლება არა თუ წინააღმდეგი არის რიტორიკისა, არამედ არის სტილლის კანონითაც. ჩუენი გამოჩენილი მწერალი ბოილიო: ამბობს მოწყობა ლექსებისა არისო მოსამსახურე და ავტორი არ უნდა ემორჩილებოდესო, და სხუა.“

ჩუბინოვის წინასიტყვაობაში, რომელიცა რუსულად არის დაწერილი, ამ გვარს აზრსა ვხედავთ: მართლად და, რა შევადარებთ თამარ მეფის ცხოვრებას, პოემის მოქმედებასა, ვპოვებთ დიდს მზგავსებასა, ასე რომ ვფიქრობთ, ნესტან დარეჯანის სურათში გამოჰყავს თჳთან თამარ მეფე. თუნდა ვაჩუენებთ მკითხველს, ზოგი ერთს მზგავსებასა. ნესტან დარეჯანი იყო, მხოლოდ შობილი ქალი ფარსადან მეფისა და თამარიც იყო მხოლოდ შობილი ქალი გიორგი მესამისა; ნესტან დარეჯანი მისცეს გასაზრდელად თავის დასა; თამარ მეფა გიორგი მეფემ მიაბარა თავის დას, ოსეთის მთავრის ცოლსა, აღზარდა ერთად დავით სოსლანთან; ნესტან დარეჯანი იზრდებოდა სწავლაში ტარიელთან ერთად და სხუა.“

11634

მე იმას არა ვფიქრობ, არ ვაუხდე თანასმად, მეფის ვახტანგის, ბროსეს დ ჩუბინოვის აზრსა,—აი რასა ვკითხულობ ქართულის ხრონიკოთგან:

„. . . . შემდგომს როდესაც შახი არმენიისა, რომელიცა მოდიოდა ონის ქალაქის დასაცვავად, ისვენებდნენ, დ ნადირობდნენ მინდორზედ, დ ველზედ თჳთან მეფე გიორგი, თამარის მამა, ატარებდა ასე დროსა; ისრის ტყორცნაში, ვერც ძველს დროს დ ვერც იმ დროში, ვერცა ერთი ვერ მოვიდოდა ამასთან დ სხუა. რა შევადარებთ ამ ალაგს, იმ ალაგთან, სადაც როსტევან ანბობს არაბეთში ის ყოფილა პირველი მშჳლდოსანი; როსტევანს არა ჰყვანდა შჳლი, ერთის მეტი ქალი, როგორც გიორგი მესამესა, მეფის არაბეთის სახე ემზგავსება თამარ მეფის მამასა, როგორც მექრონიკონი ხატამენ; თამარ განთქმული იყო მოწყალებითა, როგორც თინათინ; გამოვა, რომ არა თუ ნესტან დარეჯანის სახელით, არამედ სხვის სახელითაც ასე, რომ მეორე მოქმედების, ესე იგი თინათინის მოქმედებაშიაცა სჩანს თამარი, არც შეიძლება რომ ასე არ იყოს. მგონია კიდეც, რომ ქალები ყოფილიყვნენ მოქმედ პირებად პოემაში, ბევრნი, ყველაზედ ვიფიქრებდით რომ თამარი იყო, ამისათჳს, რომ რუისთაველს მრიელ უყვარდა ჩინებული მეფე თამარ, თუმცა ამაზედ არც ვახტანგ, არც ბროსე დ არც ჩუბინოვი არას ანბობენ. ამ სიყვარულზედ, თქმულება არის საქართჳჱლოში, თჳთან რუსთაველის პოემაშივე ვხედავთ, რომ რუსთაველ ალვია-

რებს ამასა. — (*) ეს ცხადათ ამტკიცებს რომ ჭევარებია თამარ მეფე, — ამ უბედურის პოეტის სიყუარულის გამო, ვეფხვის ტყაოსანი უფრო საქები ხდება. ჩუენა ვთქვით, რომ რუსთაველი მარხია იერუსალიმში, თუმცა რუსთაველს ვეფხვის ტყაოსანი დაუწერია სიყმაწვილეში, მაგრამ ვხედავთ ზოგი ერთს ალაგს, საიდამაც ვხედავთ, რომ თითქოს პირველადვე იგრძნო ბერად შედგომა, ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ 27,28 და 29 ტაეპებსა. (*)

გარეთგან შეხედულობით პოემა შემდგარია 1637 ტაეპითგან, (გამოც. ბროსესაგან) ყველა სტრიქონსა აქუს 16 მარცვალი, ხოლო ყველა სტიხი სრულდება, ჩინებულის მოწყობით, ქართველის ყურს ეჩვენება მრიელ ხმოვანად, რადგანც შეჩვეულია ენა ქართული, წინაადმდეგ ზოგი ერთის მსწავლულებისა, არ არის სტიხით საადვილო, რუსთაველმა ისარგებლა ამ მდიდარი ენის თჳსებითაც, ასე რომ ხმის ამაღლებით და დადაბლებით, ჩინებული გარმონია არის იმის მაღალს ლექსებში. ხორეი და დაკტიკა უფრო ხშირია აქ, მინამ სხუა, რადგანაც ხმის ამაღლება უფრო ხშირად შეხვდება მკითხველს სიტყჳს დასაწყისში (*)

ნომერები ოთხს ლექსთან დასმულები, ნიშნამენ, რომ ეს ალაგი, ნათარგმნი არის სიტყჳთი სიტყუად, სადაცა

(*) ავტორს ამ ალაგს უთარგმნია შესავალი, ვეფხვის ტყაოსნისა.

(*) აქ დაბეჭდილია პოლიმურად ეს ალაგები.

(*) ვეფხვის ტყაოსანსა ხთარგმნის, ფოცხვერის ტყაოსანსა, უჭვალია მოუგონებია ქართულ მთარგმნელსა.

ჩჳენ არ დავსვით რიცხვი, იქ მხოლოდ გამოვწერეთ პოემის აზრი, საკელის წოდებაში, ზოგი ერთი თავების წოდება არა ვთარგმნე, რადგანაც არ დავსახე რუსთაველის თხზულებად.

რა ვრჩებით წინასიტყჳაობას, ახლა შეუდგებით თჳთან პოემასა. ასე, რა გთარგმნი პოლშურს ენაზედ ჩემო ვეფხვის ტყაოსანო, ჩემო ნუგეშის მცემელო, გაპოლიაკებულო, გამოდი ქჳეყანაში! მე დიდათ მსურს, რომ რამდენიმე გული მხურვალე პოლიაკისა შეარყიო ჲ შეაყვარო საქართჳელო!

კაზიმირ ლოფჩინცკი.

ხვაყიალი

ნუ შეიყვარებ, ნურც ემონები,
როს შენ ხედავ მისს გულგრილობასა;
ნურც დასტრფიალებ, ნურც ემღერები,
რადგან ხედავ მისს, ცრუ ცვლილებასა.

თუმცა უარობს სიტყჳთ შენთანა,
მაგრამ ნებულობს ხლებას თჳსთანა.
ხან არის შენი, ხან ანბობს „არა“
გირჩევ, მოშორდი, მონება კმარა.

წარსული დრო შენ წარმოიდგინე,
როდეს გიხმობდა იგი თავისად;
აწ გულგრილობა წინ დაიდგინე
და შეიყვარე თჳთ იმის მსგავსად.

ნუ ერწმუნები მის ცრუ ცელქობას,
ნურც ემონები, სიურმის სიზმრებას.
გიჯობს მოშორდე, მოსმებნო სხჳათ
რომ არ წარმოსთქჳა ბოლოს-დროს „ვაი“

ი. ქაჩუხა შჳლი.

20 აპრილს 1870 წ.
ახალციხე.

ბეატრიჩე ჩენჩი

საუდარი წმინდის თომასი.

თავი VII

საუდარი წმინდის თომასი ეკუთვნოდა გრაფსა ფრანჩესკო ჩენჩსა, რომელიც იყო მორთული შიგნითა შავის ხავერდითა, კედლებზედა ეკიდნა მორთულობა გლოვიანობისა, სადაცა შჳდნი თავ ახდილნი მარმარილოსა კუბონი, რომელნიც იდგნენ შიგნითა, უცდიდნენ თავიანთ სხვერპლთა, როგორც კაცისა ტუჩნი საჭმელთა. და ყოველთა კუბოთა აქუნდა ნაწერი, ვის რომელი კუბო ეკუთვნიდა.—და ცოტა მოშორებითა იმა კუბოთა, კარგსა აღგილსა, იდგა მერვე კუბოი, რომელიც იყო მეირფასი ყოველთა კუბოთა ამ ნაწერით: «თუ გსურს, რომ სცხონდე ამა კუბოშივე სცხონდები»—და ეს მეირფასი კუბოი ბოროტებითა სავსემა ფრანჩესკომ განუმზადა თავის მაღლსა ნერონსა, და სხუანი იყვნენ გამზადებულნი მისვან თჳსი შჳლებისათჳს.

შუაზედა იმა საუდარში იდგა მშჳენიერი კათავალკი, ესე იგი გრძელ სკამისა მსგავსი ტახტი, რომელიცა იყო შემკობილი შავის აბრეშუმის ხავერდითა ნაქსოვი ოქროითა, გულშამორტყმულისა ექვსნი დიდრონი სა-

სამთლენი ვერცხლისა, მშჳენიერ გელოვნებისა ამშვენებდნენ იმა კათაფალკსა.

მოურილება მღჳდელთა, რომელნიც იყვნენ ჩაცმულნი შავითა შესამოსითა უცდიდნენ მიცვალებულსა. რამდენიმე დროებისა შემდეგ ფერხისა ხმანი მოახლოვდებოდნენ და ფარდა დიდისა კარებისა საყდრისა აიხთებოდა, და კარებთან გამოჩნდებოდა მორჩილი კუბოი, რომელიცა მოჰქონდნენ ორ კაცსა და ორ ქალსა.—დჟაკობისა და ბერნადისა, შვილთა ფრანჩესკოსა ეჭირათ კუბოი წინეთა და ცოლსა ფრანჩესკოსა ლუკრეციასა და საწყალ ბეატრიჩესა ეჭირათ უკანითვე.—

მიცვალებული იყო ვირგილი, ლოცვა რომლისა შეისმინა უფალმან და განსვენება სამოთხეში.

მის უკან მოდიოდნენ მრავალნი შინაურნი მსახურნი ფრანჩესკოსა, ჩაცმულნი მდიდართა მგლოვიარე ტანსაცმელთა.—არ იქმნებოდა, რომ ადამიანსა გული არ დასწოდა, რამეთუ მსახურნი იყვნენ ჩაცმულნი ათასჯერ უმჯობესათ მინამ შვილები ფრანჩესკოსა დჟაკომო და ბერნადირნო, განსაკუთრებით ტანსაცმელი დჟაკომოსი იმ გვარი გაოხრებული იყო, რომ უბრალო მათხოვარი არ იკადრებდა ჩაცმად მისსა; თმანი მასზედა იყვნენ დაშლილნი, ჰერანგი ჰქონდა ტალახიანი, და საწყალი თავ ჩაღუნვითა სტიროდა, რათა ჰრცხვენოდა ასაწევათ თავისა, მაღლათ.—ბერნადიროც სტიროდა მწარეთა, მარამ ტირილი მისი იყო წამხედურებისა, რადგანაც ჭკუა მისი იყო შემკრთალი შიშისა თჳსის მა-

მისა და აგრეთვე იყო მცირე წლოვანიც.—ლუკრეცია თუმცაღა იყო დედის ნაცვალი, მაგრამ აქცევდენ მწარეთა ცრემლთა ვირჯილისათვს. მაგრამ ლუკრეციასა ჰქონდა იმ გვარი ხასიათი, რომ ყოველთა უბედურობასა და უბედურ შემთხვევასა, მიაწერდა მღუთისა ნებასა და ამისათვს ამბობდა რომ ღუთის ნება არისო ვირჯილის სიკვდილიო და არ არს საჭირო ჯავრი მას ზედაო.

აქ მსურს, რათა უფალთა მკითხველთა შევატყობინო თუ რა სახითა მოხდა ფრანჩესკოს ჯვარის დაწერა ლუკრეციაზედ და ამისათვს, მივატოვებ რაოდენიმე ხანსა განსვენებისა ცერემონიასა, რათა მკითხველთა ვრცლათა შაიტყონ ყოფა ქცევაჲ ფრანჩესკოსი.—

ფრანჩესკოს ჯვარის დაწერა ლუკრეციაზედ მოხდა ამ სახით: შეიტყობდა ფრანჩესკო ლუკრეციასა სიმშჳჳნიერესა და ღუთის მოყვარეობასა მისსა, ბოროტებითა სავსე კაცი სთხოვდა ჴელსა ესე იგი სთხოვდა ლუკრეციასა ცოლ ქრმობისა სურვილსა. ღუთის მოყვარესა ლუკრეციასა იმ ჟამად გაგონილი ჰქონდა ავკაცობაი მისი და პასუხს აგებდა ამ სახით: «უმჯობესი იქნება, რათა წავუვე მე ეშმაკსა ცოლად, მინამ უღმთოსა ფრანჩესკო ჩენჩსაო»,—მაგრამ ფრანჩესკო იმ გვარი ეშმაკი და მაცდური იყო, რომ როდესაც ლუკრეცია იქნებოდა საყდარში, მაშინ ფრანჩესკო პირველი მღუთის მოყვარე კაცი გახდებოდა და დაიწყებდა ლოცვას მუხლთ მოდრეკითა, საწყალსა ლუკრეციასა ეგონებოდა, რომ

ყოველივე თქმულობანი ფრანჩესკეზედა იქმნებოდა ტყუილი, და ამისათჳს გავიდოდა მას ზედა ცოლათა. და როდესაც ფრანჩესკო მოიყვანდა, სახლში ლუკრეციასა ეტყოდა მას ხუმრობით: «შენა განა სთქჳ, რომ სანამ მე წამყვებოდე, ეშმაკს წავჰყვები, მე შენს აზრსა მართლათა ვსდი»—და კიდევაც აღასრულა ფრანჩესკომ თავის სიტყვები.

ფრანჩესკომ იმ საქმემდის დაიყვანა თავისი წინასწარმეტყველება, რომ როდესაც ლუკრეცია, ცოლი მისი ლოცულობდა, მაშინ ფრანჩესკო გარყვნილსა სიმღერას დაიწყობდა, მაგრამ ლუკრეცია სულგრძელი და მომთმენი ქალი იყო და ყურადღებასა არ აძლევდა თავის ქმარსა, ფრანჩესკოსა გული მოუვიდოდა, რამეთუ ვერას გზითა ვერ შეაშლევინებდა ლოცვასა ლუკრეციას, და ამისათჳს მისის ლოცვის დროს გარყვნილი ფრანჩესკო მოიყვანდა გარყვნილთა ქალებთა და ლუკრეციასა წინეთა დაუწყებდა მათ მრუშებას.—ლუკრეცია კეთილ გონიერი ქალი ეტყოდა: და გაჰპატივოს უფალმან ყოველივე ცოდვანი შენი, როგორთაც გაჰპატივებ მე შენა ბოროტებასა შენსა.—შეატყო რა ფრანჩესკომ, რომ ამითაც ვერა დააკლო-რა თავის ცოლსა, იქამდე დაიყვანდა საქმესა, რომ თავისს მოსამსახურეებთან, ლანძღვიდა და კიდევაც სცემდა თავისსა ცოლსა. და მშჳენიერ პირის სახესა მისსა დაუტოვებდა ნატკივნობისა ნიშნებსა, მაგრამ ლუკრეცია ითმენდა, როგორც კეთილი და ღჳთის მოყვარე ქალი.

დაჭლია რა! ფრანჩესკომ ყოველივე სიმარჯჳჱნი აღსრულებად თავის სურვილისა, ბოლცს იფიქრა, რომ თავისი ცოლი ქვა არს და ქვისაგან არა რაიმე შაიძლება რა, და ამითი დაეთხოვებოდა მასა.

აქ მოუბრუნდეთ ჩჳჱნსა განსვენებისა ანბავსა.—

მარტო საწყალი ბეატრიჩე არა სტიროდა, თვალნი მისნი გაურყეველათ იყვნენ გაჩერებულნი მიცვალებულსა ზედა თჳთონა უგრძნოთა ხედვიდა ხალხთა.

და მიახლოვდებოდნენ რა იმა კატაფალკსა, რომელიც იდვა საყდარში, ბეატრიჩე აიღებდა მარტო ჴელშია მიცვალებულსა მმასა თჳსსა ვირგილის და დასდებდა მას იმა კათაფალკზედა, სადაცა დავარცხნიდა და გაუსწორებდა თმასა მიცვალებულსა ვირგილის, რაისა შემდეგ დაადებდა თავისსა ჴელითა გულზედა მას ჯჳარცმასა და აგრეთვე ბუკეთთა სხჳა და სხჳა ყვავილებისა, შემდეგ მოიწევდა სიახლოვეს ერთსა დიდსა სასამთლესა და ჩამოწოლითა მას ზედა შეაცქერდებოდა თვალებში მიცვალებულსა მმასა.

ერთი მოსამსახურეთაგანი უცქერდა მწუხარეს ბეატრიჩესა და თჳთონაც სტიროდა, ისა მოსამსახჳრე იყო მარციო.

გარემედ ოთხისა შჳლებისა ფრანჩესკოსი, რომელნიც იყვნენ მოხსენებულნი ჩვენს სამწუხრო ანბავში, ჰყავდა კიდევ მასა სამნი, ორნი ვაჟნი კრიტოფან და ფალიკსი, რომელნიც იყვნენ გაგზავნილნი სასწავლებლად სალამანკში და უფროსი ქალიშჳლი ალიმზია, რომელიც გამოვიდა მოთმინები-

თგან ცუდს ყოფა ქცევისა გამო მამისა და შეარდგინა მორჩილი წიგნი, რომელშიაცა აღწერა ყოფა ქცევანი მამისა, რომლითაცა იყო შეწუხებული თჳთონა და თავისი ჭირისუფალნიც და სთხოვა რიმის პაპასა, დახსნად მისსა თჳსის მამისაგან და გაგზავნად მისს სადმე მონასტერში, მანამდის გავიდოდეს ვინმეზედ ცოლათა.—პაპამ წარიკითხა რა შერდგენილი წიგნი ალიმპიისა, აღასრულებდა მისსა სურვილსა და ბოლოს პაპა მისცემდა მას ცოლათა კარლსა გაბრიელლიასა, რომელიც იყო იმ დროებაში მოწონებულად.—შაიტყობდა რა მამა მისი ფრანჩესკო ალიმპიის მოხერხებულებასა განრისხდებოდა და იტყოდა: «ვინც რომ მომგვრის უგანა ალიმპიის ან მკუდარსა და ანუ ცოცხალსა, ათასსა მანეთსა მიიღებს ჩემგან საჩუქრათ»: მაგრამ სურვილი ფრანჩესკოსი დარჩებოდა ტუჳლათ, რადგანაც ყოველნი პაპისა მორჩილნი იყვნენ და არა შეეძლოთ შეხებად ჴელისა ალიმპიისათჳს.—გაათხოვა რა ალიმპია, პაპამ რამოდენიმე ათასი მიაცემინა ფრანჩესკოს მზითვათ ალიმპიისათჳს.—ვეღარა შეიძლორა ფრანჩესკომ მობრუნება, ალიმპიისა, რომელზედაცა იყო განრისხებული, მისი მრისხანება გარდაიღო იმ შჳლებზედა, რომელნიც ჰყვანდა სახლშია და აწვალებდა მათ გამოუთქმელ წვალებითა.—

აქ მიუბრუნდება ბეატრიჩესა, რომელიც იდგა გულდამწვარი წინაშე მიცვალებულისა და სძლებოდა მზერითა თჳსისა ძმისა ვირგილისა, სადაცა მღუდელი, ჩუჩულებისა მებრ არღილებდა ჴელში ნაკურთხსა წყალსა და და-

აშურამდა მიცვალებულსა, ნაწილი რომლისა დაეცემოდა შუალზედა მიცვალებულსა, და იგივე ნაწილი წყლისა ავარდებოდა შუბლისაგან მიცვალებულისა და მოხვდებოდა სახეზედ ბეატრიჩესა, რომელიც ათრთოლდებოდა და დაღონებულის სიტყვებითა იტყოდა:

—ეს ნიშნამს, რომ მეც მალე წავალ ჩემს ვირგილისთან და ამისათჳს მივიღებ მე წმინდასა ამა ნაწილსა წყლისასა.

გათავდებოდა რა წირვა მიცვალებულისა ყოველნი მღჳდელნი გამოვიდოდნენ გარეთა და თან გამოვიდოდნენ ბერნი და ბერთა გამოჰყვებოდნენ მსახურნი ეკკლესიისა და მათ უკან გამოვიდოდნენ მეზობელნი ჩენჩისა, რომელნიც იყვნენ მოსრულნი ცხონებისა შეწირვად მიცვალებულისათჳს, მარტო ჩენჩი დარჩებოდა მიცვალებულთან.—კეთილნი ხალხნი მწუხრისა გულითა სტიროდნენ სხვისა მიცვალებულზედ, თუმცალა მართალი არს, რომ მწუხარებაი ამ გვარი მალე გადუვარდებათ მათა როგორც გარეშე კაცთა გულიდგან, მაგრამ კიდევ ბევრადა ღირს ამ დროსა ცრემლნი გარდმოვარდნილნი გარეშეთა თუალთაგან.

და როდესაც ძმები ვირგილისა და დედის ნაცვალი მისი იყვნენ დავრდომილნი მუხლთ მოდრეკითა და ეთხოვებოდნენ ვირგილისა, დაი მისი ბეატრიჩე ასწევდა თავსა ზევით და ბრძანებისა ხმითა იტყოდა.

—რასა სტირით? ადექით! იცით ვინ მოჰკლა ჩუჱნი ძმა? და თქუჱნ იცით მაგრამ გეშინისთ თქმათ სახელი-

სა მისისა სახელი, რომელიცა თქუჱნ პირიდგან აღმო-სთქმათ გეშინისთ, მე აღმოვსთქუამ იმასა ხმითა მაღ-ლითა: მისმა მამამ, ჩუჱნმა მამამ, ფრანჩესკო ჩენჩიმ, მოკლა ჩემი ვირგილი:

ისინი რომელნიც იყვნენ დაჩოქილნი წინაშე კუბო-ისა, არა გაინძრეოდნენ რა და მოემატებოდათ სურვილი ტირილისა.

—-ადექით მე გეუბნები თქუჱნა! ამისათჳს თქუჱნი ცრემლნი საჭირო აღარ არის, ვეცადოთ ჩუჱნთვი, რათა მამამან ჩუჱნამან ჩუჱნც ამასავით არ მოგვკლას.

—დამშჳდდი შჳლო ჩემო, დამშჳდდი, ნუ მიეცემი გულ მოსრულობასა და ცოდვაც არის, ეუბნებოდა ლუ-კრეცია, მოდი აქ შენც დაიჩოქე წინაშე შენისა მშისა და მორჩილ იყავ ღუთისა ნებისა.

—-რას ანბობთ ბატონო ლუკრეცია, მიუგებდა ბეა-ტრიჩე, თქუჱნ რომ კაცმა გაგიგონოსთ იფიქრებს თუ ღმერთს გაუჩენია წყალი მისათჳს, რომ დაგვახრჩოს ჩუჱნ, ცეცხლი მისათჳს, რომ ვითომც დაგვწვას ჩუჱნ და რკინა იმისათჳს, რომ კისერნი მოგვჭრას ჩუჱნ,—არა, სრულებითაც არა, ღმერთმან გაგვაჩინა ჩუჱნ სი-ცოცხლისათჳს და კეთილის საქმის მოქმედებისათჳს; სად წაგიკითხავსთ თქჱჱნა, რომ შჳლისა კვლა ცოდვა არ არის, რისთჳს მოკლა მხმამან ჩემმან ჩემი ვირგილი? რა დააშავა ვირგილიმ რომ გახდა წერათ სიკუდილისა? არა დედაო ლუკრეცია თქუჱნ არ გიყვარდათ ვირგილი საკუთარ შჳლისა სიყვარულობისამებს, თორემ ამას არ ბრძანებდით.

—როგორ არ მიყვარდა? ისრე მიყვარდა, როგორც ჩემი საკუთარი შჳლი ⴇ ნაყოფი მუცლისა ჩემისა.

—ახ! მართლათ ბრძანებთ მაგასა? ეს მართალი არს სიტყვით ყოველივე ითქმება, მაგრამ სახეში, სხჳა სა-ხით გამოჩნდება, თქჳჱნ, რომ გევარებოდათ ვირგილი, როგორც ნაშობი შჳლი, ეხლა თქჳჱნ მაგრე მუხლ მო-დრეკითა არ იტირებდით, არამედ განარჩევდით მიზეზსა სიკჳდილისასა რომელიც მოკჳდა ჩემი ვირგილი, მა-გრამ ეხლა რა გაეწყობა; შენ ძმაო (მიუბრუნდებოდა დჲაკომოსა) რა დაგმართია, შენ ხომ მაინც კაცი ხარ, განა შენ ვერას ფერსა ვერა გრძნობ ამ გულში (ⴇ მი-არტყამდა ახალ გაზდა ბეატრიჩე თავისსა ძმასა გულ-ზედა ჴელსა).

—ახ! დაო ბეატრიჩე, მიუგებდა დჲაკომო, მე ეხლა ის დჲაკომო აღარა ვარ, რომელიც ვიყავი უწინა, უმე-ტესი ნაწილი ჩემის ცხოვრებისა მკჳდარი არს, მე ეხ-ლა ლანდი ვარ დჲაკომოსი ⴇ არა თჳთონ დჲაკომო, შემომხედე მე დაო, განა შენ იტყვი მე ოც ⴇ ხუთის წლის კაცი ვარ; იფიქრე დაო რაზედა დავიდა ჩემი უ-ბედურება მე აღარა მალმიძს დაფარვად ტიტვლისა სხე-ულისა ჩემისა, მე არა მაქჳს გამოსაცვალი ჰერანგი, რომ სხეული ჩემი შევინახო წმინდათა, რომელიც არ არის საკადრისი ჩემის კაცთა-შჳლობისა, ეს კიდევ არ არის სამწუხარო დაო! მე რომ მარტო ვიტანჯებოდე, მაგრამ შეხედე ჩემს შჳლებსა, რომელნიც არიან შიშვ-ლათა ტიტველნი ⴇ არა მაქჳს შეძლება ჩაცმად ⴇ და-

ხურვად მათისა, ცოლი ჩემი მუდამ ცრემლშია ზის. მამამან ჩემმა ფრანჩესკომ პენციაც მომიჭრა ორი ათასი მანეთი, რომელნიც უნდა ემლევინა ჩემთჳს პაპისა გარდაწყვეტილობითა, და ჩემის ცოლის ლუიზისა მზითევიცა წამართო, მაშ დაო მითხარ რაღა უნდა შემემლოს ესლა მე.

—ჩუ̂ჱნ რისთჳს არ დავვარდებით მუხლ მოდრეკითა წინაშე პაპისა და არ შევსთხოვთ საშვალებასა, როგორცა ჩუ̂ჱნმა დამ ალიმპიამ აღუსრულა თაჳის სურვილი,

—ჰჱ! დაო! შენ ჰგონებ რომ მე არ მითხოვნია პაპისათჳს? გამოსული მოთმინებისგან მივედ და დავარდი ფეხ ქვეშა პაპისა და ცრემლითა და შევსთხოვე დახსნად ჩემისა და აგრეთვე შენისა და ჩემისა შჳლებისა და ძმებისა ჩუ̂ჱნი მამისაგან, რომლისა გამო აგრე უმღთოთა ვიტანჯვიო, მაგრამ უმღთომა პაპამ აზრშიაც არ მიიღო ჩემნი ცრემლნი და მითხრა ამ სიტყვებითა: „ვაჲ მათ შჳლებთა, რომელნიც ამცხადებენ ბოროტებასა მამისა, ხამი ამისათჳს იყო დაწყევლილი ღუ̂თისაგან, რომ მამას არ ემორჩილებოდა, და სიმ და აფეთი იყვნენ დალოცვილნი მღუ̂თისაგან, რამეთუ იყვნენ მორჩილნი მამისა. სად გიკითხავს შენა რომ, ისაკი სჩიოდა მამაზედ? მამანი მიწაზედ წარმოადგენენ უფალსა და ამისათჳს ყოველნი შჳლნი მამისა მორჩილნი უნდა იყვნენ, და შენც მორჩილი, რომ ყოფილიყავი არ მოხვიდოდი ჩემდა საჩივრითა მამაზედ, წადი ჩემგან მშჳდობით.“—

და ამ სიტყვებითა გამომიშვა მე უნუგეშოთა, მტირალი.—აი დაო ალიმპიაც იმ სიტყვებით მივიდა პაპასთან, როგორც მე და ის მიიღო და არა მე.—ამის შემდეგ არის ქუეყანაზედ კაცთა მოყვარება? რა ვქნა დაო, რა უნდა უყო ჩემს ბედსა, ჩემი ბედი ასეთი ყოფილა და რა ვქნა.—

—რადგანაც ასრე არს ამასა ჩუენისა სიკუდილისა მეტი არა გაეწყობარა მიუთხრა ბეატრიჩემ.

—ოხ! დაო ბეატრიჩე! შენ არა გყამს შვილები, შენ არა გყამს ქმარი როგორცა მე ცოლი, რომელსაც უყვარვარ და მიყვარს მეც, თორემ ამას არ იტყოდი; მე რომ არ ვყოფილვიყავ შეკრული ცოლ-შვილითა და მამათ ჩემის შვილებისა, ჩემს გვამსა დიდხანს გამოათრევდნენ მდინარისა ტიბრისაგან, მაგრამ მეტი გზა მაინც არ არის, მაინც ასრე უნდა იქმნეს, როგორცა შენ ბრძანებ.—როდესაც გავივლი ხოლმე ტიბრისა სიახლოვეთ, ვითომცა მდინარე ტიბრი მეუბნების მე:—„დრო არს მობრძანდი—და კიდევაცა ამით გათავდება ჩემი წვალება მეტი გზა არ არის. ბეატრიჩე იცვლებოდა ფერზედა, როდესაც ძმაი მისი დჟაკომო იტყოდა ამა სიტყვებსა. გული თჳსი ეტყოდა ბეატრიჩესა: თჳთონ ბეატრიჩე არს შემცდარი გახსენებად ძმისათჳს სიკუდილისა და ამისათჳს ბეატრიჩე მშვიდობიანათ გაუწოდებდა ჴელსა დჟაკომოს და ეტყოდა მას ნაზისა სიტყვებითა:

—ძმაო მე ვსთქვი დაუფიქრებელნი სიტყვები.... პატივ ჰყავ შეცთომილობაი ჩემი და დაივიწყე ჩემდამო ნა-

თქვამნი უაზრო სიტყვანი, ეხლა აქ მმაო გეყოფა ამდენს ხანს მუხლ მოდრეკითა ტირილი წინაშე ჩჳენისა მმისა ვირგილისა, იყავ კაცათ, ნუ შეშინდები მმაო! და ამასთანავე გთხოვ რომ ჩჳენი სიტყჳანი აზრში არ მიიღო...........

—ეი! ტრაპეზსა და კუბოსა შუა ბაასობასა იწყებენ? უეცრათ გამოვიდოდა ხმა უკანითგან.

მოიხედვიდნენ რა უკან მდგომარენი იქა, ტანთა მათსა ჩაუდგებოდათ შიშისა რთოლება შეხედვიდნენ რა გრაფსა ფრანჩესკო ჩენჩსა, შემომავალსა საუდარში, რომელიც იყო ჩაცმული შავის ტანისამოსითა და თავზედ ეხურა წითელი შლიაპა (ქუდი), როგორცა პატრიციასა შეხედავდნენ რა გრაფსა ყოველნი შევიწროვდებოდნენ ერთათა და ეშინოდათ შეხედვად გრაფისა ფრანჩესკოსი; მარტო ბეატრიჩე დასდგებოდა უშიშრათა და გულ მაგრათა წინაშე მამისა თჳსისა.

—წმინდანნო! (მიუშვერდა ფრანჩესკო კელსა წმინდათა მხატრობათა) იყავით მოწამენი, როგორ უღირსნი შჳლნი ჩემნი არჩევენ მოკვლად ჩემისა, მამისა მათდა.... რას გაჩერდით! რისა გეშინისთ! (მოუბრუნდებოდა ფრანჩესკო თავისსა შჳლებსა) ჩემი გეშინისთ, ერთისა მოხუცებულისა კაცისა, რომელსაც ერთი ოდენი მალა აღარა აქჳს საჩხუბრად თქჳენდა! გაათავეთ რჩევაი თქჳენი! აღასრულეთ სურვილი თქჳენი! რაღას გაჩერდით აქ უფრო უმჯობეს იქმნება სიკუდილი ჩემი უფალთანა და ტრაპეზთან! მაჩვენეთ სადა გაქჳსთ გამზადებული ჩემთჳსა დანა მკვლელებო?

ყველანი ჩაჩუმდებოდნენ უსაფუძვლო სიტყვებისა გამო ფრანჩესკოსი.—ფრანჩესკო დაიწყებდა:

—თქუჱნ გეშინისთ მაჩვენოთ მე თქუჱნდამო გამზადებული ჩემთჳს დანა? ჩემნი თუალნი გაშინებსთ თქუჱნა? და ერთი თქუჱნგანი არ არის გულ-მაგარი, რომ პირ და პირ თუალებში შემომხედოს მე? მაშ კარგი თუმცა თქუჱნ არ იცით მოკულა მამისა მე გასწავლი თქუჱნა აღსასრულებლათ თქუჱნისა სურვილისა, აი მიყურეთ: თუმცა რომ ჩემნი თუალნი გაშინებსთ თქუჱნა, როდესაც მე დავწვე და დამეძინვის, მაშინ მოდით და კარგი გალესილი დანა მკარით მე ბეჭში და მაშინ შეატყობთ, თუ რა ადვილათ შევა დანა მოხუცებულისა გვერდშია.—თქუჱნ რა გგონიათ! სიცოცხლე მოხუცებულისა მაფისა მსგავსი არის და მოკვლა მისი, ყოველთა შეუძლიანთ და ამ კელსაცა შეუძლიან მოკვლა ჩემი (და ამასთანავე აღიღებდა კელსა მიცვალებულისა შჳლისა თჳსისა ვირგილისა და აჩვენებდა შჳლებსა და მერმეთ ისრე შეძაგებულათ მიაგდებდა კელსა მიცვალებულისასა, რომ კელი მიცვალებულის ვირგილისა მოხვდებოდა მწარეთ კუბოისა კიდესა და ყოველნი მხედველნი ამისა თვალებზედა კელთა აიფარვიდნენ. ბოროტებითა სავსე გრაფი დაიწყებდა იმავე ფარისევლობითა თავისა სიტყვებითა.

—მე მესმის, თქუჱნ რაღაცა გაქუსთ გულშია, მაგრამ გეშინისთ ჩემი, აი მიყურეთ კიდევ დაგასწავლით მეორე საშვალებასა, რომლითაც მომკლამთ მე: ან მო-

მწამლეთ და ან როგორცა მანფრედმა მოკლა მამაი თჳსი ისრე მომკალით მე, როდესაც დამეძინების აღიღეთ ჩემი მეორე ბალიში დამადევით ცხვირ-პირზედა და მერმეთ შესდექით ზედ ფერხითა და დამახჩეთ მე.....

ყოველთა ჴრთოლება გაუჩნდებოდათ ტანშია ამა სიტყვებითა გრაფისა.

—რისა გეშინისთ? ჩემის სიტყვებისა? ხედამთ ამ შჳდთა კუბოთა ვისთვინა არიან ესენი გამზადებულნი? თქუჱნთჳს, ყოველთა ჩემთა შჳლთათჳს.. ოხ! ღმერთო, რომელსაცა ვერ გიცნოფ, თუმც რომ მართლათა იმყოფებოდე და ჰქონდეს მალა აღსრულებად ჩემისა სურვილისა, ყოველთა შჳლთა ჩემისა სიკუჱდილი მომასწარ, რომ ამა კუბოებშივე ჩავაწვინო მე ისინი და მაშინ გამლევ პირობასა, რომ იმ წამსვე ჩემს მამულს და სასახლესა დავსწვამ და მეც შიგ დავიწვები და თუ შენ არ აღასრულებ თხოვნასა ჩემსა, მაშასადამე გამომიგზავნე მე სიკუჱდილი იმ პირობითა, რომ საფლავისკენა მაქვნდეს ამოშვერილნი კელნი ჩემნი და შემეძლოს მითა ყოველთა შჳლებისა ჩემისა თან წაყოლა.—მაგრამ ვგონებ შენ მე არ მიყურებ და არც ისმენ ჩემს თხოვნასა; კაცი სანამ ცოცხალი არს, არ უნდა განუცხადო თჳსი საიდუმლო არ ვისა და არც ღმერთსა.—წადით აქედამ ეშმაკნო.

და მოინდომა გრაფმა ფრანჩესკომ გაყრა გარეთ ყოველთა შჳლებისა, მაგრამ ბოლოს მოუვიდა აზრში თავისი უფროსი ვაჟი დჟაკომო და მოატანა მას კელი

კალთაზედ და დაუწყო ბაასი:

—შენ ანბობდი რომ ჰერანგი არა მაქვსო... ზარმაცო! წადი ახლავე საფლავზედ დედისა შენისა და აამრე მას ზედა სუდარი, რომლითაც არს გამოხვეული დედაი შენი და მიუტანე შენს ცოლსა, რომ იმისა ჰერანგი შეგიკეროს შენა და შენთა შჳლებსა და უთხარი შენ ცოლსა, რომ ორი ნაჭერი მოარჩინოს მისგანა: ერთი ნაჭერი, როდესაც შენ ჩამაღლდები გაწვალებულ სიკჳდილითა, პირზედა გარდაგაფაროს, და მეორე ნაჭერითა ცრემლნი მოიხოცოს შენზედა, თუმც რომ იმ გვარი სულელი და უჭკო იქმნება შენი ცოლი და ცრემლნი გადმოუარდება მას შენზედა, შენისთანა გარყვნილ და წამხდარ კაცთათჳს.—

ღმერთი თუ გრწამს კელი გამიშვი და მომეც თავისუფლება ჩემთჳსა, ეუბნებოდა შჳლი მისი დჟაკომო და ცდილობდა განთავისუფლებასა ხელთაგან უმღრთო მამისა.

—არა მე შენ არ გაგიშვებ სანამ არ დაგასწავლი, შოვნად მისსა რაიცა შენ გაკლია, შენ ანბობ თუ შჳლნი შენნი მშიერნი არიან, წადი ახლავე საფლავზედ დედისა შენისა, აიღე საფლავისგან მისა, რამდენიმე ჰეში მიწა, წაიღე და მით დანამლე შვილები შენნი, მიწასა არა უშავს რა, რამეთუ გველიცა მიწითა რჩება.— და თუ ეს ასრე აღასრულო, მაშ მე უგზავნი შენთა შჳლებთა დაწყევლასსა და წადი მოსაბნევათ თავთა მათთა ჩემისა სიტყვდბისა.—შენ პირს რას აბრუნებ ჩემგან? მიუყრე რამეთუ სიმართლითა გარიგებ მე შენა, ...

...... წადი ꝺ თუ გინდა რომ თავსა უშველო ერიდე-ბოდე ტკბილსა ꝺ კეთილსა სიტყვებსა ꝺ საქმესა შენ-ის ცოლისა მიერ, არამედ იყავი მუდამ ჟამს შფოთში ꝺ ჩხუბში შენ ꝺ შენი ცოლი რათა მოგვენიჭოს თქუჱნ შემდეგ საშვალება, თუმც რომ ჩემდამო ნათქვამსა სი-ტყვებს აღასრულებ. . . . .

გრაფი ფრანჩესკო კიდევ ბევრსა რაიმეს დაუწყებდა საწყალს დჟაკომოს, რომ დჟაკომოსა არ მოეხმარა მა-ლა ꝺ არ გაანთავისუფლა უოფილიყო თჳსის მამისაგან, ꝺ არ გაქცეულიყო ყურებზედ ჴელის აფარებით, რათა არა ისმინოს გარყვნილი დარიგებაი მამისა თჳსისა.

—გაიქეცი! გაიქეცი! დაიწყო გრაფმან ფრანჩესკომ, რას იფარებ ყურებზედ ჴელსა, ჩემნი სიტყვანი არიან მსგავსნი მახვილისა ꝺ როდესაც დაკოდამს ხოლმე კა-ცსა დასტოვებს მას ზედა ნიშანთა დაკოდილობისასა.

ლუკრეცია ცოლი მისი ꝺ ბერნადირნო ართოლდე-ბოდნენ შიშისა გამო გრაფისა ꝺ გაიქცეოდნენ თან დჟაკომოსა, მარტო ბეატრიჩე დარჩებოდა გაურევლათ წინაშე თჳსისა მიცვალებულისა ძმისა ვირგილისა.

—შენ არ გეშინის ჩემი? ეტყოდა ბეატრიჩესა მამაი მისი.

—ბეატრიჩე მოაბრუნებდა რა თავისსა პირისა სახე-სა ტრაპეზისკენა დასდგებოდა წმინდისა გულითა ꝺ იტყოდა:

—წმინდაო იესო ჯვარცმულო! გამოუგზავნე შენი შე-მწეობა ამ უბედურსა სულსა (მიაშვერდა ჴელსა თჳსსა

მამაზედ.)

—ახ! შენ უჭკუო რას ანბობ მაგასა, აქ არც ჯვარი არს, არც ქრისტე და არც ღმერთი.

—დარუმდით მოხუცებულო, რას ანბობთ მაგასა, ყოველს ჟამს მოელით მისვლასა წინაშე მღუთისა, და მაგ სახისა სიტყვებსა ლაპარაკობთ.

. . . .

—მოდი აქ ჩემო ბეატრიჩე მე შენ მარტო მიყუახარ, შენ ხარ სიცოცხლე ჩემისა ცხოვრებისა.... შენა....

მოახლოვდება რა უმღრთო და გარყვნილი ფრანჩესკო ბეატრიჩესთან, გული მისი იქმნებოდა სავსე უწმინდურობითა, და შეეხება რა თავისსა ქალიშვილსა საკოცნელად მისთა, ბეატრიჩე გახტებოდა მეორე კერძოთ კუბოისა და ეტყოდა მამასა:

—თქუენსა და ჩემს შუა, იყო ორს სამზღვრათა შჯულისა კვლავი რომელიც არს აღსრულებული თქუენისა სიბოროტითა.

ამ დროს როდესაც ბეატრიჩე გახტებოდა ფიცხლათა მეორე გვერდით კუბოისა, წამოკვრიდა კუბოსა გვერდსა რომელიც გარდმოვარდებოდა კატავალკიდამა, და ამასთანავეც სასამთლეი დიდი წაიქცევოდა და ჩაიმღვანებდა ფრანჩესკოსა, თავზედა რომელსაც დაეცემოდა მიცვალებული ვირგილი, ასრე რომ თმანი მიცვალებულისა და თმანი ფრანჩესკოსი შაირეოდნენ ერთმანერთში სადაცა დაეცემოდათ სამთელი და გაუჩნდებოდათ ცეცხლნი თმაშია.—ფრანჩესკო ჩენჩი, რომელიც იყო წაქცეული, იგ-

რმნობდა რა ცეცხლსა თმაზედა დაიწყებდა ყვირილსა შეშინების გამო:

—მიშველეთ მკუდარი მწვავს მე!!!

გამწარებული შიშითა ფრანჩესკო, განთავისუფლდებოდა რა მიცვალებულისაგან, სახე მისი დაემსგავსებოდა ეშმაკის გამოხატულებასა, თმანი მისნი იყვნენ დამწვარნი ცეცხლითა ებანი გასივებულნი დამწვრისა გამო, და თვალნი მისნი ემზგავსებოდნენ იმ ჟამად მოხარშულსა სისხლშია ბიასა, და მრთელი ტანი მისი ართოლებდა შიშითა, როგორცა ნამჯისა ფურცელი.

—ფიი!!! შენ მაბუნო ფრანჩესკო ჩენჩი! ეუბნებოდა გრაფი თავისსა თავსა მართლათ შეშინდი? ბავშმა და მიცვალებულმა შეგაშინა? ფიი! შეგირცხვა ნამუსი, ეხლავ ვგრძნობ რომ დაბერებულხარ.

ამ ჟამად ბეატრიჩე განვარდებოდა და ფრანჩესკო მობრუნდებოდა თავის ოთახში სავსე უწმინდური აზრებითა

თავის მომულება.

თავი VIII

საღამო იყო ღრუბლიანი, გარეთა სცემდა ქარიშხალი ფანჯრებსა, ღარიბი სახლი, რომელიც შიგნითვე იყო მორთული ღარიბად, იყო განათლებული ქონისა სანთლითა, რომელიც დაღონებულად აძლევდა თავისსა

სინათლესა იმა მორთულებათა; სანთელთან ისხდნენ ცოლ-ქმარნი, ქმარი იყო შაწუხებული ჯავრითა, ერთისა მისდა შეხედვით კაცი განარჩევდა მისსა გამოუთქმელსა მწუხარებასა, რომლისა გამო იყო გათავებული; ცოლი, თუმცაღა იყო ისეცა დაწუხებული, მაგრამ სილამაზე მისი, ამკობდა სახესა მისსა მისსა მხიარულებითა.—ეს ორნი ცოლ-ქმარნი იყვნენ: დჟაკომო შვილი ფრანჩესკო ჩენჩისა, და ცოლი მისი ლუიზა, რომელნიც იყვნენ ღარიბად, ცოლი ნუგეშსა სცემდა ქმარსა თჳსსა დაღონებულსა და ეუბნებოდა ნაზისა სიტყვებით:

—ნუ დაღონებულხარ სულო დჟაკომო, ღმერთი მოწყალე არს, როდისმე გვეშველება რაიმე; ღრუბლისა შემდეგ მზე გამობრწყინდება და აგრე უნდა მოველოდეთ ჩუტანცა.

დიდხანსა ცოლი დჟაკომოსი კიდევ გაამაგრებდა ნუგეშითა თავისსა ქმარსა, თუმც რომ ლუიზას, არ მოსვლოდა საიდუმლო ბარათი, თჳსის მამამთილის ფრანჩესკოსაგან, სახელი და გვარი რომლისა არ იყო მოწერილნი მას ზედა და ეწერა შიგა, ვირომც ქმარი მისი დჟაკომო არის შეყვარებული სტოლიარის ცოლისა და თავის ჰენციასა, ორი ათას მანეთსა, რომელიც ეძლევა მამისაგან, ვითომცა დჟაკომო ხარჯამდა სტოლიარისა ცოლზედა და თავის უზაკონო შვილზედა, რომელიცა შეეძინა სტოლიარის ცოლსა დჟაკომოსგან. მიიღებდა რა ამა ბარათსა დაუწყებდა ბრძოლასა თავის ქმარს საწყალსა დჟაკომოსა, საწყალი დჟაკომო იმართლებდა თა-

ყვანდა საქმესა იქამდის, რომ დჟაკომოს გული მოუ-ვიდოდა და აიღებდა ხრმალსა დასარტყმელად თჳსის საყვარელ ცოლისათჳს, რომელსაცა აძულებდა ამ ჟამად ბოროტებითა სავსე ფრანჩესკო; ლუიზა შეატყობდა გულ-მოსულობასა თჳსის ქმარისა, მოაგროვებდა თავისა გარშემო შჳლებთა თჳსსა და უნცროსსა მათგან შჳლსა დაიწვენდა კლავზედა და ეტყოდა გულმოსულსა ქმარსა დჟაკომოს:

—მოდი მომკალ მე, და სისხლითა ჩემით მაინც განამდე ესა და ესენი შჳლნი შენნი, რამეთუ შიანთ და არა აქუსთ საზრდო.—

დჟაკომო გაჩერდებოდა ამ სიტყვებითა და მიიწევოდა გარდასახვევად თავის ცოლზედა, ცოლი არ მიიკარებდა და მერმეთ მოუბრუნდებოდა შჳლებსა და ეტყოდა:

—თქუჱნ მაინც ნუგეში ეცით საწყალსა მამასა თქუჱნსა და მოდით ჩახუტებად ჩემდა და უთხარით დედასა თქუჱნსა, რომ ტყვილისა დამჯერე ნუ იქმნება.

—არა! შენ ტირილი დააწყებინე დედასა!

—წადი აქედამ, შენ გნებავდა მოკვლა დედისა!

—ჩუჱნ მეტად შენ არ გვიყვარხარ, შენ ავი ყოფილხარ!

—წადი აქედამ, წადი აქედამ, ეუბნებოდნენ მამასა, საწყალსა დჟაკომოს, ერთითა ხმითა თჳსი შჳლები.

—წავიდე აქედამ! წავიდე აქედამ! მამამან ჩემმან შეძულებისა გამო ბოლოსა შარები მომიგონა მე! და სურს ჩემი სიკუდილი! ცოლი მიძულებს! შჳლები მაგდებენ!..:

კარგი მე წაველ ჩემთჳს, მაგრამ შენ ჩემო უმანკო და მართალო სულო შჳლო ჩემო! (მოუბრუნდებოდა თავ მოძულებითი დეკომო თავისსა ყოვლთა უნცროსსა, შჳლსა, რომელიც იწვა აკვანში), შენ მაინც მიიღე უ-კანასკნელი გარდახვევა ყელზედა შენისა, საწყალ მამისა შენისა და იყოს ესე ჩემი ჩახვევა და გამოსთხოვა ორი კოცნაი, შენთჳს მამული დანაშთენათ მამისაგან შენისა.

იტყჳს რა ამასა აკოცებს შჳლსა და გამოვა გარეთ თავ მოძულებული და ერთისა მისის შეხედვით კაცსა გული დაეწვებოდა შივნითა.

მისვლა მამამთილთან.

თავი IX

საწყალი დაღონებული სიღარიბითა ცოლი დეკო-მოსი, ჩაიცვამდა ღარიბსა მორთულებასა და წავიდოდა თავის მამამთილთანა ფრანჩესკო ჩენჩითანა. მივიდოდა რა სასახლეში თჳსისა მამამთილისა პირ და პირ შევი-დოდა მისს კაბინეთში სადაცა ფრანჩესკო ჩენჩი მიეგე-ბებოდა თავისსა რძალსა ფარისევლობითა და პირ მო-მცნე სიტყვებითა:

—მობრძანდით ჩემო საყვარელო რძალო!

ლუიზა დაიღუნვიდა ამბორსა ყოფნად ფერხისა მა-მამთილისა თჳსისა, მაგრამ ფრანჩესკო ეტყოდა:

—ნურას სწუხდებით აბრძანდით ლუიზა, ეგ თქუენი საკადრისი არ არის. ვიცი და მესმის, რომ შჳლი ჩემი დჟაკომო ურადღებას არ გაგცევს თქუენა და ჩემდამო ნაძლევსა ჰენციას ორი ათასსა მანეთსა ხარჯამს გარყვნილ ქალებში, განსაკუთრებით სტოლიარის ცოლზედა და თავის უკანონო შვილზედა, რომელიც ამ ხანად დაებადა სტოლიარის ცოლსა დჟაკომოსაგან. აბრძანდით შჳლო ჩემო და მიიღეთ მამამთილისაგან თქუენი საჩუქარი რამდენიც გნებავთ (და ამ დროსა განაღებდა ფრანჩესკო დიდსა ზანდუკსა, სავსესა ოქროთა და ვერცხლითა და ეტყოდა რძალსა ჩაყოფად შიგა ჴელისა და ამოღებად საჩუქრისა, რომელსაც აძლევდა მამამთილი მისი).

ლუიზასა შერცხვებოდა და ვერა გაბედავდა ჩაყოფად შიგა ჴელისა, მაგრამ თჳთონა ფრანჩესკო ამოუღებდა რამდენიმე ჴელსა ოქროსა და ვერცხლსა და ჩაუყრიდა ჴელში რძალსა და ეტყოდა:

—ამ პირობით გაძლევთ ამასა, რომ თქუენ ქმარს არ უჩვენოთ, თორემ ამასაც დაგიხარჯამს და დამრჩებით ცარიელი.

ლუიზა შეჰპირდებოდა ფიცითა აღსრულებად ბრძანებისა მამამთილისა.

—სხვა კიდევ ჩემო საყვარელო რძალო, რადგანაც ქმარს თქუენ არ უყვარხართ, მე ჩემი უძრავი მამული დამიტოვებია ჩემის შჳლის შჳლებისათჳს; ესე იგი თქუენის შჳლებისათჳს; ბეატრიჩესა მზითევი ცალკე აქუს; ბერნადი ბერათ შედის და ის ორნი შჳლნი ჩემნი,

რომელნიც სასწავლებელში არიან იმათი ჩემი არა უ-ნდათ რა.

ამ დროს გაიცინებდა ფრანჩესკო ბოროტის სიცი-ლითა და შეამკობდა რძალსა ტკბილისა სიტყვებითა და გამოისტუმრებდა გარეთა. წავიდოდა რა რძალი მისი დაუძახებდა ნოტარიუსსა, და ყოველთა თავის მამულთა დაუტევებდა მღუდელთა საეკლესიოთ და თავისს შვილთა და შვილის შვილებთა დაუტევებდა მდინარე ტიბრსა, რათა შიგა თავიანთ თავნი დაიხჩონ.

მსონი.

თავი X

მოუკვდებოდა რა გრაფსა ფრანჩესკო ჩენჩსა შვილი ვირგილი მეორე დღესა სადილს გააკეთებდა თავის სა-სახლეში და დაჰპატიჟებდა მას ზედა უმფროსთა პატივ-ცემულ კაცებსა, რომელნიც აღასრულებდნენ სურვილსა ფრანჩესკოსასა და მოვიდოდნენ სასახლეში მისთა.—სტო-ლი ჩენჩისა იყო მდიდარი, იარაღნი სტოლისა იყვნენ ძვირფასნი, ფრანჩესკო იყო გახარებული.—როდესაც დასხდნენ სტოლზედა სტუმარნი, თავში ყოველთა და-ჯდებოდა ფრანჩესკო, მარჯვნით მოიჯდენდა ბეატრიჩესა და მარცხნით ლუკრეციასა და დაიწყებდა ბაასობასა:

—მართალია შვილი მომიკუდა, რომელიც ძრიელ

მიუჴარდა ჩემი ვირგილი, მაგრამ რა ვქნა ჩემი გლოვიარება იმას აღარ მომიბრუნებს და ისთევეთ ასრე სჯობს დროების გატარება.

იტყოდა რა ამ სიტყვებსა ფრანჩესკო, ბეატრიჩესა მისი სიფარისევლით ათრთოლება აუტყდებოდა.

დათვრებოდა რა ფრანჩესკო მაშინ გამოტყდებოდა თავის ბოროტებაში და იტყოდა:

—საყვარელნო მეგობარნო მე მსურს, რათა ჩემი შჳლები ჩემზედა უწინ მოკვდნენ, და ამისათჳსა იმათთჳს კუბონი მზათ არიან, ოთხნი მომიკვდნენ მადლობას ვწირავ ეშმაკსა და სამნი კიდევ დამრჩნენ, და ამათაც გავისტუმრებ როგორმე: დღეს დჟაკომოს დავმარხამ, ხვალ ბერნიდოროსა, და ზეგ ჩემს საყვარელ ბეატრიჩესა.— ოხ! ეს ღვინო რომ ჩემი შვილების სისხლი იყოს უმჯობეს გემრიელი იქნება.

იტყოდა რა ამა სიტყვებსა სტუმართა გული ასტკივდებოდათ და მიატოვებდნენ რა სტოლსა იმ წამსვე, წავიდოდნენ თავიანთ სახლში; დარჩებოდნენ ზალაში მარტო ფრანჩესკო და ბეატრიჩე, ფრანჩესკო მოუბრუნდებოდა და ეტყოდა ბეატრიჩესა:

—ამაღამ ბეატრიჩე მე შენთან მოვალ და ერთათ ვილოცოთ.

შეიტყობდა რა ბეატრიჩე მამისა უწმინდურობასა იმ წამსვე განქრებოდა მისგანა.—

ცეცხლის გაჩენა.

თავი XI

განუზომელი უბედურება დაეცემოდა სახლსა სტოლიარისასა, გაგზავნილი ფრანჩესკოსაგან ალიმჰი, აღასრულებდა ბრძანებასა თჳსის ბატონისასა და გაუჩენდა ცეცხლსა სტოლიარისა სახლსა, სტოლიარი თჳთ ახალგაზდა კაცი დაიწვებოდა ცეცხლშია შუაღამეზედა, როდესაც ტკბილისა მილიოთ ემინა თავის ცოლთან; ხალხნი მოგროვდებოდნენ მაგრამ ვერას უშველებდნენ რა. მარტო კაცად ჩაცმული ლუიზა, ცოლი დჲაკომოსი უშველიდა ცოლსა და შჳლსა სტოლიარისასა. მოვარდებოდა რა ლუიზა ჩაცმული კაცის ტანისამოსშია და შეხედამდა რომ ქალი თჳსის შჳლითა იწვებოდა, რომელზედაცა ჰფიქრობდა ლუიზა ვითომც ის ქალი დჲაკომოს საყვარელი იყო, და შევარდებოდა შუა გულ ცეცხლშია, გამოიყვანდა ქალსა მისი შჳლითა მისგან.— ყოველნი იქა მდგომარენი განკვირდებოდნენ სიმარჯვითა იმა ახალგაზდა ვაჟისა ლუიზასი, რომელიც იყო—ვაჟათ ჩაცმული: ლუიზა წამოიყვანდა სტოლიარისა ცოლსა თავის სახლში, რამეთუ ცოლი სტოლიარისა გახდებოდა ავათა და ლუიზა წამოიყვანდა იმასა მისთჳს რათა შაიტყოს მისგან, თუ მართლა აქუს იმასა რაიმე კავშირი დჲაკომოსთანა.—

დატყვილება.

თავი XII

მე მგონია უფალთა მკითხველთა არ დავიწყებიათ გერცოგი, რომელიც იყო ფერად ნაკლული და მოვიდა რჩევისა აღებისათჳს ფრანჩესკოსაგან.—

ფრანჩესკო ჩენჩი მისცემდა რა ალიმპის გერცოგსა, ამასთანავე თითონ ფრანჩესკო აცნობებდა პოლიციასა და გუბერნატორსა, სურვილსა იმა გერცოგისა და როდესაც გერცოგი მოიტაცვიდა ქალსა ალიმპის საშვალობითა, დაეცემოდა მას თავზედა პოლიცია, წაართმევდნენ ქალსა გერცოგსა დაკოდვიდნენ სიკუდილადმდე, და მარტო ალიმპი გაიპარებოდა, და მივიდოდა თავის ბატონთან და მისცემდა მას ანგარიშსა თავის სიბოროტისა მოქმედებაში. შეისმენდა რა ყურადღებითა ანბავსა ალიმპიისას, ფრანჩესკო, ბოლოს ჩაიყვანდა დაბლად, ვითომც პოლიციამ არ შეიტყოს და ჩაანწყვდევდა ცისისა სარდაფში, სადაცა იყო ბნელი. ფრანჩესკო შეპირდებოდა ალიმპისა გამოგზავნად მისთა სამთლისა და საჭმელ სასმელისა, მავრამ ბოროტებითა სავსე გრაფი ფრანჩესკო დაატყვილებდა და ჩაანწყვდევდა რა ალიმპის შიგა, დაუკლიტამდა კარებსა და წამოვიდოდა თავისთჳს, ალიმპი დარჩებოდა მუდამ ციხეში. დატყვილებული გრაფისაგან, რომელსაც სურდა როგორმე მოეკლა ალიმპი და ეხლა იშოვა საშვალება შიმშილითა მოკვლა მისი ციხეში.—

გვიდო გვერი.

თავი XIII

ფერ ნაკლული ბეატრიჩე გამოვა ჩუმათა თჳსის სპალნითგან, რომელსაც ჴელში უჭირამს ფანარი და დასდებს რა მასს ნელათა მიწაზედ. გააღებს ჩუმათ კარსა და შევა ბაღშია...... ვსთქჳათ ეხლა ჩჳენთჳსა: საღ მიდის უშიშარი ბეატრიჩე უდროვო დროსა გარეთა? რისთჳს არიან ფერნაკლულნი ალის ფერნი ლოყანი მისნი? რისთჳს დაიწყებს ბეატრიჩე ცქერასა ყოველსა კერძოთი?... ღამე იყო წვიმიანი, მეხი ბრგვინავდა საშინლათ, უხუცნი იმალებოდნენ ავი ტაროსისა გამო თავიანთ მხვრელშია განუზომელი ქარ შიშხალი სცემდა ხშირხშირად ფანჯრებსა. უმანკო ბეატრიჩე გამოვა საძებრათ თჳსისა საყვარელისა გვიდოსა, რომელიც იყო მისთჳს წერტილი ნუგეშისა. საყვარელი ბეატრიჩესი გვიდო იყო პირად მშჳენიერი გვარად დიდი კაცი, ახალგაზდა ყმაწვილი, განათლებული სწავლითა, თმანი მისნი ემსგაგსებოდნენ თმათა ბეატრიჩესა, გვიდო იყო ჩაცმული მდიდრათა, იყო მდიდარი, ერთი სიტყჳთ ბეატრიჩე და გვიდო იყვნენ გაჩენილნი ერთი ერთმანერთისათჳს, და კიდევაც უყვარდათ ერთმანერთი წმინდისა სიყვარულითა, ლუკრეციამა იცოდა განუზომელი სიყვარული მათსა შუა, მაგრამ ეხმარებოდა ბეატრიჩესა და სურდა განთავისუფლება მისი თჳსის ბოროტის მამისაგან, რათა

ბოლოსა ყოფილიყო ისა ბედნიერი.

ბეატრიჩე და გვიდო იყვნენ შეყვარებულნი გამოუთქმელ სიყვარულებითა, თუმცა გვიდოსა სურდა ჯვარის დაწერა თავის საყვარელ ბეატრიჩეზედ, მაგრამ დროება არ აძლევდა მას ნებასა, ნამეტურ გრაფი ფრანჩესკო რომელსაც სძულდა გვიდო და გასცა ბრძანება აღარ მოშვებად მისთა თავის სასახლეში; საწყალნი შეყვარებულნი, რომელნიც მნელათა ნახვიდნენ ერთი ერთმანერთსა ფრანჩესკოს გამო, სძლებოდნენ მარტო მიწერ მოწერითა ერთი ერთმანერთშია და ჰპოვებდნენ ნუგეშსა მარტო ბარათში.—

უფალნო მკითხველნო, ვის თქვენგან ვისმეს არ ყოლია საყვარელი და არ მოსვლია ბარათი თჳსის საყვარელისაგან! გაიხსენეთ მარტო ისა, რა სახით შეეერებოდით ბარათსა გამოგზავნილსა თქვენისა საყვარლისაგანა, განა თქვენ გახარებულის გულითა მოკიდებდით ართოლებულის ჴელითა საყვარლისა ბარათსა, გულნი მაშინ დაგიწყებდათ ხშირათ ცემასა და ეძებდით მთვარისა სინათლესა წაკითხვად ბარათისა და წაკითხამდით რა, აკოცებდით მასა სამჯერა და მერმეთ დაიდებდით გულზედა.—აგრე იყვნენ ბეატრიჩე და გვიდო.—ერთხელ გვიდო მივიდოდა რა საღამოზედა სახლშია მოეწევოდა მას კაცი, გააჩერებდა და მისცემდა მას ჴელში ბარათსა გამოგზავნილსა ბეატრიჩესაგან, გვიდო მოკიდებდა რა ჴელსა ბარათსა გაიქცევოდა გზისა ფანართან წასაკითხავად უძვირფასეს ბარათისა, წაკი-

თხამდა რა ბარათსა გაიღიმებდა აკოცებდა მასა, რომე-
ლშიაცა ბეატრიჩე ჰპატიჟობდა მას თორმეტ საათზე
შუაღამისას ბაღში, და ჩაიდებდა ბარათსა უბეში, შაინა-
ხამდა რა ბარათსა უბეში, გვიდო გაიქცევოდა სახლშია,
მოირტყამდა წელზედა ჴმალსა და წამოიღებს ბაწრისა
კიბესა და წამოვა ბაღშია ფრანჩესკოისა, სადაცა იყო
დაპატიჟებული თორმეტ საათზედ ბეატრიჩესაგან, გარდა-
ვა რა დიდსა ჴედელზედ ბაღისა ბაწრისა კიბეთი გვიდო
დაიმალვის დანიშნულ ადგილზედ ბალახებში.

დაიმალვიდა რა გვიდო ხშირ ხშირათ, ჩამოესმებოდა
მას შრიალი ფურცლისა ბაღში და ეგონებოდა რა ფე-
რხისა ხმაი ბეატრიჩესი წამორგავდა თავსა და დაუკვი-
რდებოდა თუ ვინმე მოდის, მაგრამ მიაწერდა რა შრი-
ალსა, რომელიც ჩამოესმებოდა ხისა ფურცელთა ისთე-
ვეთ ჩაღუნვიდა თავსა და დაიმალვიდა. გავიდოდა რა ცო-
ტა ხანი გული გვიდოსი დაწუხდებოდა ჯავრითა, იყო
რა ამ განცხრომაში საწყალსა გვიდოსა უეცრათ ჩამო-
ესმებოდა ხმაი:

—გვიდო! გვიდო! მე ვარ შენი ბეატრიჩე!....

მივარდებოდა რა ბეატრიჩე თავის საყვარელ გვიდო-
სთან, ჩამოართმევდა ჴელსა და ჩაეკვრებოდა გულში და
ეტყოდა:

—გვიდო! სიცოცხლეო ჩემო! მიშველე რამე! გვიდო
წამიყვანე მე აქედამ.... ამ საათში.... ნულარ გაჩერდები
ერთ მინუტსა........ აქ მიწა მწვავს მე ფეხებსა, აქ ჰაე-
რი მოწამლული არს..... წავიდეთ, წავიდეთ ჩქარა გვიდო!

—ბეატრიჩე!,.......ამოიქვნეშიდა გვიდო.

—კარგი შენი ჭირიმე გვიდო ნულარ ჰკარგამ დროებასა, წამიყვანე, ჩქარა თუმც არ გინდა, რომ მე შენი ცოლი ვიყო, მაინც გევედრები წამიყვანე, და მონასტერში მაინც დამსტოვე, დამიფარე მე მამისა კელითგან, გევედრები დამიფარე.

—ოხ! ღმერთო ჩემო! რა არისეს შენი გამწარებული სიტყვები, რას ნიშნამს ესა მითხარ სიცოცხლეო ჩემო ბეატრიჩე, რა დაგმართია?

—მიშველე რამე გვიდო ამ სახლიდამა, სადაცა ყოველსა დღესა კაცის კვლა და სიბოროტე არს ნუ მომკლამ უზიაროთა წამიყვანე ჩქარათა ამ უღმრთო სახლიდამა, დამიფარვე ეშმაკისაგანა.

—მე შენ მაკვირვებ და მართოლებ. ბეატრიჩე ერთი მითხარი რა დაგმართვია შევიტყო?

—მე არ მალმიძს თხრობად შენთჳს სიცოცხლეო ჩემო გვიდო! მე ვერა ვბედავ გაგონებად შენდა, მამასა ჩემსა, რომ აზრი აქუს ჩემზედა, ჩემს ენას არ მალუძს გარდმოცემად შენდა იმა გარყვნილისა სიტყვებისა, მე გევედრები გვიდო ნუ მომკლამ უდროვოთა მამისა კელშია, წამიყვა სადმე.

—კარგი წავიყვან მაგრამ, როგორ წავიყვანო მე შენ ამ სახით, ამ კაბით, როგორ გარდაგიყვანო ამ მაღალ კედელზედ, მოვითმინო გათენებამდის.

—რას ანბობ, გათენებამდის? ახ! შენ უბედურო, ვგონეფ ეხლაც გვიან არის, თორემ გათენებამდის ეგე-

ბის დავვიჭირონ, წადი ახლავ მე შენ არ მოვშორდები და მოვეკვრები, როგორც გასურებული მაყამი ცეცხლზედა, წადი ახლავეთ მე შენ გამოგყვები.

—მაშ შენი ნება იყოს წავიდეთ ღუთის შეწევნით.

—ეე! მაგრე წასვლა როგორ იქმნება გამოუთხოვრად პატრონისა.

გამოვიდოდა გვერდითა ხმაი, რომელიც დასცინებდა შეყვარებულთა.

წამოიძახა რა ხმამან ესე სიტყვები იმავე წამშია იმავე წამში დაელავდა ხანჯალისა პირი გვიდოსა გვერდით და ხანჯალი ისა გვიდოსა ბედოთ ასცილდებოდა მასა და მოხვდებოდა სიახლოვეთ ხესა, რომელსაც გააპობდა შუაშია: და წაქცეული ხე დაეცემოდათ საწყალთა შეყვარებულთა გარდახვეულთ კელებსა ზედა—და განაშორებდა მათ, შეშინებული გვიდო კიდევ ემებდა კელთა ბეატრიჩესა, მაგრამ მრიელი კელის კვრაი გულზედა გააგდებდა გვერდზედა გვიდოსა, რომელიც განეშორებოდა თავისა ბეატრიჩესა და ამ დროს მივარდებოდა კაცი ვიღაცა გვიდოსა და ეტყოდა ჩუმათა:

—გაიქე შენ უბედურო თორემ შენც დაიღუპვი, მე გამოგენთები უკანა რომ გიშველო რამე! და ის კაცი ვითომც სცემდა გვიდოსა და იწყებდა ყვირილსა: ახ! შენ ქურდო შენ ჩემის კელიდამ ვერ წახვალ ეგეც შენ, ეგეცა შენ. და ვითომცა სცემდა მას..... და ამ დროს შეიქმნებოდა ბაღში ყვირილი და ერთი ანბავი, ფრანჩესკო ყვიროდა სახლიდამ.

—დაიჭით, დაკალით, დაკალით როგორც ძაღლი.

მირბოდა რა გზაზედა საწყალი გვიდო მოაგონდებოდა თავისი ბეატრიჩე ⁊ იფიქრებდა: როგორ დატოვა თავისი საყვარელი ⁊ როგორ მიატოვა გახელებულ მამისა ხელშია ⁊ დაღონებული ამ ფიქრითა მობრუნდებოდა აიღებდა ხრმალსა ⁊ წამოვიდოდა ბეატრიჩისა საშველებლად, მაგრამ შეეყრებოდა ის კაცი, რომელიც გამოაცილებდა მას ⁊ ეტყოდა:

—რას გაჩერებულხართ? ღუთის გულისათჳს გაიქეცით.

—გავიქცე, მაგრამ ბეატრიჩე ვის დავუტოვო?

—იმას არა უშავს რა, ბეატრიჩესა ჰყავს მომლელი, თქუენ იმას ვერას უშველით, ოღონა თქუენს თავს დაიღუპამთ გაიქეცით გირჩევნიათ.

დაღონებული გვიდო წავიდოდა რა ის კაცი კიდევ ყვირილს დაიწყებდა ⁊—თჳსსა სატევარსა დაამტვრევდა კედელზედა ვითომცა გვიდოსა ბეჭებზედ იყო დამტვრეული.

—სად არს მოკლული ძაღლი გვიდო ერთი მაჩვენეთ, რომ მისი გული ამოვიღო ⁊ ჩემითა ბრჩხილებით დავჴნა ⁊ გადუყარო ძაღლთა, მომიტათ სამთელი ⁊ მაჩვენეთ მოკლული, ყვიროდა ფრანჩესკო.

—ისა გაიქცა მიუგო მარციომ რომელმანაც გარდაარჩინა გვიდო.

—როგორ გაიქცა ტეჳლს ანბობ, ის მკუდარი უნდა ყოფილიყო ეხლა, გაიქცა, როგორ თუ თქუენ მი-

დალატეთ, ᲓᲐ გაუშვით კელიდამ, თქუენ ჩემნო ორგულნო, მომიცა მე შენ მარციო, თუ მე შენ თავი არ გაგაგდებინე ეხლავე.—ეტყოდა რა ამ სიტყვებსა მარციოს ფრანჩესკო იფიქრებდა რომ ამითი თავს მოამულებს ერთგულსა მოსამსახურესა, ᲓᲐ ამისათჳს ეტყოდა ხმისა დაშვებით შემდეგ.—მარციო! შენ ჩემი უწინ ერთგული იყავი ᲓᲐ ეხლა რა დაგმართვია?

მაგრამ სიტყვანი ფრანჩესკოსი ისრე ჩავარდნენ გულში მარციოსა, რომ მათი ამოხოცვა მისგანა ძნელი იყო, მარციო პასუხს მიუგებდა ჩივილითა:

—კარგი ბატონო! თუმც მე ორგული ვარ ხვალვე გიახლები ჩემთჳსა.

ფრანჩესკო დაუწყებდა ფარისევლობით მოფერებასა, რაითაც ჰსურდა დატყუება მარციოსი, მაგრამ, როგორც შევიტყობთ შემდეგ, მარციო უმჯობეს დაატყუებს ფრანჩესკოსა.

თავ შემოხვეული ფრანჩესკო თჳსის მოსამსახურეებით დაუწყებდა ძებნასა ბეატრიჩესა ᲓᲐ შეხედავდა რა მასა დაჭრილსა ᲓᲐ მოუვანილსა მის წინაშე, მოკიდებდა მას კელსა გახელებულისა სახითა დაარღვევდა მაგრათ საწყალსა ბეატრიჩესა ᲓᲐ ეტყოდა გულმოსრულათ.

(ბოლო შემდეგ ნომერში იქნება).

გრიგოლ ასათიანი.

მოწვევა

რამდენმამე ჴექიმთა მოიწადინეს ახალი აქიმობის მწიგნობრობას გააცნონ, სააქიმო ჴელნაწერი თხზულებაები, ქართულს და სომხურს ენაზედ შედგენილები ძველს დროსა, და ამისათჳს ითხოვენ, ვის სახლშიაც მოიპოვებოდეს სამკურნალო წიგნი რამ ქართულს, ანუ სომხურს ენაზედ, ან კიდევ მკითხავობისა წიგნი რამ, თუ შელოცვისა, გამოგზავნონ ავათმყოფების სამკურნალო დირეკტორის დანიელ ქრისტეფორიჩ ლისიცოვის სახელზედ, ქალაქს ტფილისში. დარწმუნებულნი ბრძანდებოდნენ მეპატრონენი, რომ ეს გამოგზავნილი ჴელნაწერი წიგნები შეურყეველად უკანვე დაუბრუნდებათ, გზაზედ გამოგზავნის ფასს, ესე იგი ფოჩტის ფულის მიცემას ჩვენა ვკისრულობთ.

იმედი გვაქჳს სააქიმო სწავლას ამ გზით მისცემენ შემწეობასა ისინი, ვისაცა აქჳსთ ამ გვარი წიგნები, რომელნიცა რამდენიმე კიდეც მივიღევით, წიგნების გამსყიდველთ ენფიანჯისა და ჯალამქაროვისაგან, რაზედაც მადლობასაც განუცხადებთ.—

ამ ჟამადა გვაქჳს შემდგომი თხზულებაები სომხურს ენაზედ, რომელთ სიასაც აქ ამოვწერთ:

1, (ბუჟიშკა) წიგნი, შედგენილი ჴექიმის მხითარასაგან, ეს წიგნი არის შელოცვისა, ვინიცობა არის აცი-

ებდეს ვისძეს, დაწერილია 1184 წელსა, ხოლო დაბე-ჭდილია ვენეციაში 1832 წელში, გვერდი აქჳს 150.

2, სამკურნალო წიგნი, ნათარგმნი არაბულითგან იოანეზასაგან,—ქალაქს ლყოვში, სიგიზმუნდის მეფო-ბის დროსა.

3, მოკლე ჰექიმობა, შედგენილი იოანე ყალამქარო-ვისაგან 1789 წელსა გამოცემული 1703 წელში, გვე-რდი აქჳს 136.

4. კრმოობითი პატალოლია. შედგენილი ტერსტეფა-ნესაგან 1796 წ.

5, ჰექიმობა მიხეილ რესტენისა, პირველი ნაწილი, დაბეჭდილია ვენეციაში 1832 წ. გვერდი აქჳს 400.

6, საკჳრველი სამკურნალო წიგნი, საქები და დიდად სასარგებლო ჰაქიმობისათჳს, რომელიცა შეიცავს სხჳა და სხჳა გვარ კაცის ავათმყოფობის წამლობასა, არა სჩანს ვისგან არის შედგენილი, მხოლოდ მოპო-ვებულია ეჩმიაწინში. გვერდი აქჳს 197.

7, საჰქიმო წიგნი, შედგენილი არტემ ყალამქაროვი-საგან, ორმოცის წლის წინეთ, ქართულს ენაზედ, ტფი-ლისში. გვერდი აქჳს 650.

ჰაქიმების საზოგადოების სეკრეტარი, თანახმა არის თავის ამხანაგთ ექიმების აზრზედ და დიდი სარგებლო-ბა იქნებოდა იმისთჳს გაეცნო ის საჰქიმო წიგნები, რომლით უექიმნიათ მაშინდელს ექიმებს, იმ დროს როდესაც სხჳა და სხჳა ცრუ სიტუტუცით ყოფილა სავსე საქართველო, ჰექიმობის და წამლობის შესახებ.—

1870 წელსა.

„ცისკრის“ დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზავნით, 7 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიას, ხიდზედ, მირზოევის შენობაში, მარტირუზიანის სტამბაში. ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის“ რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

Дозволено Цензурою 15 Іюня 1870 г.